საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 27 ივნისი, 2015 წელი.

№118 (7763)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

◎ წინ, საქართველო!

„ოქროს“ და „ვეცხლის“ ბიჭები

როგორც იქნა, პირველი ევროპული თამაშების დასრულებამდე ორი დღით ადრე ბაქოს ჰეიდარ ალიევის სახელობის სპორტის სასახლის თაღებქვეშ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნიც აჟღერდა. ეს პატივი ჩვენი ქვეყნის დელეგაციას ძიუდოისტთა შესანიშნავი გამოსვლის გამო ხვდა.

გაუწყებთ ფინალური შეხვედრების შედეგებს:

81 კგ: ავთანდილ ჭრიკიშვილი – ივან ნიფონტოვი (რუსეთი). (გაფრთხილება).

73 კგ: საგი მუკი (ისრაელი) – ნუგზარ ტატალაშვილი. (იპონი).

ვულოცავთ „ჯვაროსნებს“ დაგვიანებულ ტრიუმფს და საერთო ჩათვლაში 22-ე ადგილამდე აღზევებას.

დავძენთ, რომ დღეს აზერბაიჯანის დედაქალაქის ტატამზე ვარლამ ლიპარტელიანი, ბექა ღვინიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი და ლევან მატიაშვილი გავლენ, ხოლო ხვალ ჩვენს თანამემამულეთაგან საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლას გუნდური ტურნირის შედეგების მიხედვით ველით.

ვინ შეცვლის გიორგი ქადაგიძეს? 4

ვერეს ხეობა არ უნდა დავუთმოთ მდინარეს და არ გადავაქციოთ ხევად! 3

როგორია თბილისის განვითარების პერსპექტივა?

ჯაბა სამუშია: ვერეს ტრაგედიაში ნაციონალებს პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრებათ 3

დაზღვეულებს – კი, დაუზღვევლებს – არა!

ვინ აუნაზღაურებს სტიქიის შედეგად დაზარალებულ ავტომობილების მფლობელებს ზარალს? 2

◎ მამულიშვილნი



სელიმ ხიმშიაშვილი - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამოხსნისთვის წამებული რაინდი 5

◎ მხატვრის ალბომი

დიდი მხატვრის მუზა და შვილობილი



მანანა ბობოხიძის ფერთა სიმფონია 11

◎ ნაწყვეტები მომავალი წიგნიდან

გიზო ზარნაძის მოგონებები

ოტია იოსელიანზე 6

ხუან ხოსე ეჩანოვეს „ოქროს საწმისის“ ორდენი გადაეცა

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სოფლის მეურნეობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის სოფლის მეურნეობის ატაშეს, ხუან ხოსე ეჩანოვეს „ოქროს საწმისის“ ორდენი გადასცა.

მთავრობის მეთაურის განმარტებით, 2012 წლიდან დღემდე ხუან ეჩანოვე პირადად უწევს დახმარებას საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში არსებული საჭიროებების იდენტიფიცირებას, შესრულების მონიტორინგს და აქტიურად თანამშრომლობს როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ უწყებებთან, ისე ფერმერებთან, კოოპერატივების წევრებთან და ატარებს მხარდამჭერ კამპანიას სოფლის მეურნეობის დარგის პოპულარიზაციისთვის.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ ხუან ხოსე ეჩანოვე აქტიურად იყო ჩართული სოფლის მეურნეობის დარგის სტრატეგიის შემუშავებაში და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებაში. მას დიდი წვლილი მიუძღვის დონორთა კოორდინაციისა და საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის ევროპული ქვეყნებიდან მხარდაჭერისა და დონორთა მოზიდვის საქმეშიც.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის სოფლის მეურნეობის ატაშემ ხუან ეჩანოვემ მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრს მისი საქმიანობის დაფასებისთვის და თანამშრომლობის გაღრმავების იმედი გამოთქვა.

◎ გარდაიცვალნენ

ეთერ კაკულია

მომღერალ ეთერ კაკულიას სიმსივნის დიაგნოზი ერთი წლის წინ დაუსვეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო პერიოდში განსაკუთრებით დამძიმდა.

ეთერ კაკულია სამკურნალოდ ისრაელში იმყოფებოდა, უიმედო მდგომარეობიდან გამომდინარე, ექიმებმა მისი მკურნალობა შეწყვიტეს. ეთერ კაკულია კატასტროფის ცენტრმა თბილისში 10 ივნისს ჩამოიყვანა.

ევგენი პრიმაკოვი

რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ევგენი პრიმაკოვი 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამის შესახებ რუსული მედია იტყობინება. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა პრიმაკოვის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მოუსამძიმრა.

ევგენი პრიმაკოვი 1929 წლის 29 ოქტომბერს კიევში დაიბადა. ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები თბილისში გაატარა.

ევგენი პრიმაკოვი რუსეთის პრემიერის პოსტს 1998-1999 წლებში იკავებდა, პოლიტიკური კარიერის მანძილზე საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზეც იყო. მაღალ თანამდებობას იკავებდა საბჭოთა კავშირის დროსაც.

◎ SIC!

დაზღვეულებს — კი, დაუზღვევლებს — არა!

ვინ აუნაზღაურებს სტიქიის შედეგად დაზარალებულ ავტომობილების მფლობელებს ზარალს?

როგორც ჩანს, მთავრობა სტიქიის შედეგად დაზარალებული მანქანების მფლობელებისთვის ზარალის ანაზღაურებას არ აპირებს. ყოველ შემთხვევაში, ამაზე მეტყველებს ფინანსთა მინისტრისა და თბილისის მერის მოადგილის ირიბი განცხადებები. ნოდარ ხადურის თქმით, პრობლემების განხილვა კომპლექსურად უნდა მოხდეს და არა — „კონკრეტული ზარალით. „სახელმწიფო შესაძლებლობების ფარგლებში იმოქმედებს,“ — აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა. დაზარალებულები კი იმედოვნებენ, რომ მთავრობა კრიტიკულ სიტუაციაში გვერდით დაუდგება და ზარალის სრულად თუ არა, ნაწილობრივ დაფინანსებაში მაინც დაეხმარება.

„მთავრობის დახმარების გარეშე გაგვიჭირდება. ჯერაც შოკში ვართ — სტიქიამ რამდენიმე წუთში, ჩვენს თვალწინ ჩვენი სახლი და მანქანა გაიტაცა. ახლაც არ მჯერა, რომ ეს რეალობაში მოხდა. სიკვდილს წუთებით გამოვასწარით. ოთხი ბავშვი, მე და ჩემი მეუღლე, ამაღლებულ ადგილზე ვიდექით და ვუყურებდით, როგორ მიჰქონდა წყალს ჩვენი შეკოწიწებული ნაშრომი. ოჯახში ერთი მანქანა — „ტოიტა რავ 4“ გვყავდა, რა თქმა უნდა, წყალმა ისიც გაიტაცა. სამწუხაროდ, მანქანა დაზღვეული არ გვქონდა, თანაც ლომბარდში ჩავდეთ და ყოველთვიურად გარკვეულ პროცენტს ვიხდიდით. ახლა მანქანა აღარ გვაქვს, მაგრამ პროცენტს მაინც ვიხდით. მთავრობა გვერდში უნდა დაგვიდგეს. სხვანაირად ამ ზარალის ანაზღურება გაგვიჭირდება,“ — გვითხრა სტიქიის შედეგად დაზარალებულმა ანი ხაჭაპურიძემ.

ჩვენს მიერ გამოკითხულ დაზარალებულთა უმრავლესობა ამბობს, რომ მოვარდნილმა წყალმა ავტოსადგომზე გაჩერებული მანქანები წამებში გაიტაცა. ზოგიერთი ავტომანქანა წყლის ტალღამ გვირაბში ჩახერგა და იქიდან მტკვარში გარიყა. მანქანების უმრავლესობა შეკეთებას არ ექვემდებარება.

„უსახლკაროდ დავრჩით და მთავრობის მცირედი მხარდაჭერა მაინც ხომ უნდა ვიგრძნოთ საქმით და არა — სიტყვით? მერიას მანქანების ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით უახლოეს დღეებში მივმართავთ“, — ამბობენ დაზარალებულები.

ამ ეტაპზე ცნობილია, რომ კომპენსაციას მხოლოდ ის ავტომფლობელები მიიღებენ, რომლებსაც ავტომანქანები დაზღვეული ჰყავდათ. ეს პროცესი უკვე დაიწყო, როგორც ერთ-ერთმა დაზარალებულმა გვითხრა, სტიქიიდან რამდენიმე დღეში, სადაზღვევო კომპანიამ კომპენსაცია გადაუხადა.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამ დროისთვის 105 დაზღვეული მანქანაა აღრიცხული, რომელიც სტიქიის შედეგად განადგურდა ან დაზიანდა. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით კი ამ დრომდე 130 მანქანაა ნაპოვნი.

13 ივნისს მომხდარი ტრაგედიიდან რამდენიმე დღეში, თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ჯაბა სამუშიამ ვერ დააკონკრეტა, აღრიცხავდნენ თუ არა სტიქიის შედეგად დაზიანებულ ავტომანქანებს სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ნუსხაში.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ტრანსპორტისა და გზების ასოციაცია“ მთავრობას მოუწოდებს, რომ დაუზღვეველი მანქანების მფლობელებს ზარალი სრულად ან ნაწილობრივ აუნაზღაუროს. „ცხადია, ზარალი ზარალია და საცხოვრებელ სახლზე წინ ავტომანქანას ვერ დააყენებ. გვესმის, რომ სტიქიის შედეგად მიყენებული საერთო ზარალი დიდია. თუმცა, სახელმწიფომ ამ ზარალის თუნდაც ნაწილობრივი დაფარვა უნდა უზრუნველყოს“.

მისივე ვარაუდით, დაუზღვეველი მანქანების რიცხვი გაცილებით მეტია.

„ჩვენი გათვლებით, საერთო ჯამში ზარალი 5-6 მილიონ ლარს მიაღწევს. აქედან, დაზღვეული მანქანების ზარალის რაოდენობას 3 მილიონამდე ვვარაუდობთ. დაახლოებით იგივე რიცხვი იქნება არადაზღვეული ავტომანქანების შემთხვევაში. როგორც წესი, არადაზღვეული მანქანების ღირებულება გაცილებით იაფია, რადგან მოძველებულია. ამიტომ მფლობელების უმეტესობა არ აზღვევს. სახელმწიფომ ამ ადამიანების მდგომარეობა უნდა გაითვალისწინოს და ზარალის სრული თუ არა, ნაწილობრივ დაფარვა მაინც უნდა უზრუნველყოს“, — ამბობს დავით მესხიშვილი.

სალომე გოგოხია

კოჯრის ფერდობებზე მეწყრის ჩამოწოლის საფრთხე კვლავ არსებობს

ამის შესახებ ილიას უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის გეოგრაფიის დეპარტამენტის უფროსმა ლაშა სუხიშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ინსტიტუტმა ჩაატარა წყნეთი-ბეთანიის გზაზე ჩამოწოლილი მეწყრის კვლევა, რომლის წინასწარი შედეგებიც ცნობილია. სუხიშვილის განმარტებით, იმ შემთხვევაში თუ ხელახალი მეწყერი ჩამოწვა, ეს ისეთივე საფრთხის მატარებელი არ იქნება, როგორც სტიქიის ღამეს, თუმცა სხვადასხვა პრობლემებს შექმნის.

„ამ ფერდობზე რამდენიმე უბანია კუნძულებად შემორჩენილი, რომელიც საფრთხის მატარებელია, ანუ სრულად არ ჩამოსულა მოწყვეტილი სხეული და დაკიდულ მდგომარეობაშია. ნებისმიერმა ბიძგმა შეიძლება განაპირობოს ამ მასის დაძვრა. მასის მოცულობასთან დაკავშირებით გარდამავალი მოცემულობაა, რადგან ზოგიერთი კუნძული საკმაოდ მასშტაბურია, ზოგიერთი კი მცირე. რა თქმა უნდა, იმხელა მასშტაბების არ არის, რამდენიც სტიქიის ღამეს ჩამოწვა, თუმცა მაინც გავლენიანი წონა აქვს. რამდენიმე უბანი მცირე ზომისაა და შესაძლებელია უფრო ადვილად ჩამოწვეს, რადგან უფრო მყიფე მდგომარეობაში იმყოფებიან. მიწისქვეშა წყლები ისევ აქტიურია. ეს წყლები რეცხავს ამ მეწყრულ სხეულს და საბოლოო ჯამში მივიღებთ იმას, რომ დაარჩქარებს მეწყრის ჩამოსვლის პროცესს. მეწყერს ჯერ წონასწორობა გამომუშავებული არა აქვს და ისევ მიმდინარეობს ამის გამომუშავების პროცესი, რომელიც რამდენი ხანი გაგრძელდება, უცნობია“, — განაცხადა სუხიშვილმა.

მისივე თქმით, არის საფრთხე, რომ ეს კუნძულები ახლო მომავალში ჩამოწვეს, განსაკუთრებით კი წვიმის ან მიწისძვრის შემთხვევაში.

◎ გავიგე, გაგჭირვებია!

ოდესის ოლქის გუბერ-ნა-ბო-ბორს მიშა სააკაშვილს

გული მეტკინა, როცა შევიტყვე, რომ ხელფასი ძალიან მცირე გქონია. მივიღე გადაწყვეტილება, ჩემი პენსია მთლიანად გადმოგიგზავნო, ცოლ-შვილი მშიერი რომ არ დაგეხოცოს.

ვწუხვარ, რომ პენსია თქვენმა დაარსებულმა VTB ბანკმა გამინახევრა, რადგან სესხი ავიღე. უსაშველო პროცენტია, ამდენად გიგზავნით, რაც ამჟამად მეკუთვნის — 75 ლარს.

თუ გაგიჭრდებათ, შემატყობინეთ და მომდევნო თვეშიც გადმოგიგზავნით.

პაგივისცემით, ძირძველი თბილისელი სვანი
თენგიზ ონიანი

◎ გუშინდელი ფოსტიდან

ქართული ბიზნესის სასწაულები

გაზეთში ამოვიკითხეთ („რეზონანსი“ 26 ივნისი) რომ გლეხები მსხვილ წისქვილებს სთხოვენ მარცვლეულის დროულად მიღებას.კილოგრამში 35-38 თეთრია, დოლარმაც დაიწია, თანაც ალოობაა, ამ დროს ფქვილის ფასები ტრადიციულად კლებულობს.

სასწაული ის არის, რომ ჩვენში ფქვილის ფასმა მოიმატა, ფაქტია, აზერბაიჯანელებს იმდენი უჩხიკინეს, ყველგან მომატებული ფასებია. განა ეს სასწაული არაა? ამაზე არაფერს წერენ. იბარებენ იაფად, ყიდიან ძვირად, რა არის ეს?!

ვალიკო შაფათავა, კოტე მესხი

◎ ექსპერტები მსჯელობენ



ვერეს ხეობა არ უნდა დავუთმოთ მდინარეს და არ გადავაქციოთ ხევად!

როგორია თბილისის განვითარების პერსპექტივა?

„შვილს ვერ დამიბრუნებთ, მაგრამ თუ ჩემი გოგოს სიკვდილი იქნება იმის საწინდარი, რომ მდინარე ვერე სხვის სიცოცხლესაც არ გაიტაცებს, ბედნიერი ვიქნები“, — ამბობს ივლიტა ჯიბუტის მამა.

ვერე, რომელიც ადამიანური ტრაგედიის საბაბად იქცა, იყო მიზეზი შეკრებისა „თბილისი მარიოტში“, სადაც თავი მოიყარეს გამოცდილმა მშენებლებმა, ენერგეტიკოსებმა, ფინანსისტებმა, გეოლოგებმა, არქიტექტორებმა, ურბანისტებმა. შეხვედრას **თავისუფალი ეკონომიკის ინსტიტუტი — FEBI** მასპინძლობდა. ბოლო ორი კვირის მანძილზე განსაკუთრებით გამძაფრდა სპეციალისტების მიმართ ყურადღება, მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ ანარქიულად, სპონტანურად. არ არსებობს არც ერთი სოლიდური ორგანიზაცია, სადაც მოხდებოდა გამოცდილების მქონე ადამიანების ნააზრევის თავმოყრა და კომპეტენტური დასკვნისთვის ოფიციალური სახის მიცემა. სამაგიეროდ, ყოველდღე ახმიანებენ სხვადასხვა უცხოური საექსპერტო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, იდეებს, მოსაზრებებს. რა ეშველება ვერეს და საერთოდ თბილისს? — ბუნებრივია, ამაზე ლოგიკური და სანდო პასუხი ქართველ სპეციალისტებს უფრო ექნებათ, ვიდრე უცხოელებს, რომლებიც თითქმის არ იცნობენ თბილისის რელიეფს, მის თავისებურებებს...

„თბილისი მარიოტში“ გამოთქმულ მოსაზრებებს გთავაზობთ ქრონოლოგიურად, დასკვნის გაკეთება კი მკითხველისთვის მიგვინდია.

ემზარ ჯგერენაია (FEBI-ის ხელმძღვანელი): „დღეს ამ დარბაზში „ლეგენდები“ სხედან, ადამიანები, რომელთაც შექმნეს საქართველოს ისტორია, მაგრამ... ჩვენ არ ვენდობით მათ — ჩვენს სპეციალისტებს, რომელთა აშენებული დღემდე ღირსეულად დგას. უნდა დავაფასოთ ეს ადამიანები, ვკითხოთ მათ აზრი და გავითვალისწინოთ!

რაც შეეხება ვერეს ხეობას — ეს უბედურების ზონა ბედნიერების ზონად უნდა ვაქციოთ. აქ უნდა ავაშენოთ ბინები, სახლები, სპორტული მოედნები, სკვერები, ანუ გავხადოთ პატარა მანჰეტენი — მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ქალაქი, აწონილ-დაწონილი, ეკოლოგიური, უსაფრთხო პროექტის მიხედვით. რომ არ დაგვემორჩილებინა მტკვარი, ჩვენ დღეს არ გვექნებოდა კოპწია და ლამაზი ქალაქი, ასევე უნდა მოვიქცეთ ახლაც. ამისთვის მილიარდ 400 მილიონი უნდა მოვიზიდოთ, მაგრამ, როგორც ვიცი, მზად არიან საერთაშორისო ბანკები, კერძო ბიზნესი...

დავით მირცხულავა (ენერგეტიკოსი): საქართველოში 50 ათასი მეწყრული ზონა გვაქვს. ასევე მაღალი რისკის პოტენციური ნაგებობები. მაგალითად, მაღლივი კაშხლები. კატაკლიზმები მარტო მომატებულ ნალექთან არ არის დაკავშირებული, შეიძლება, მცირე სეისმურმა მოვლენამაც გამოიწვიოს მეწყერი. ჩვენი ქვეყანა ზოგადად საშიში ზონაა. სოჭშიც წყალდიდობაა, მაგრამ ვერეს შედარება მასთან უადგილოა. ვერეს ხეობაში ღვარცოფული ნაკადი ჩამოწვა. იგივე მოხდა დევდორაკზე, თელავში წლების წინ, მდინარე ვერეს არაერთი ტრაგედია სწორედ ღვარცოფს უკავშირდება. ამ დროს ქვეყანაში არ არსებობს ჰიდროლოგიური პოსტები, საერთოდ არ ხდება დაკვირვება მეწყრულ უბნებზე, ამაზე დაკვირვება და პრობლემაზე ზრუნვა ახლა მაინც უნდა დაიწყოს.

გიგა ბათიაშვილი (არქიტექტორი): ვიდრე საფუძვლიანად არ გამოიკვლევა ვერეს მთელი აუზი, ჩვენი საუბარი ზერელეა. და მაინც... ჩემი აზრით, იქ გზას ალტერნატივა არა აქვს. გზა აუცილებელია, ოღონდ ახლა საკითხი დგას ასე, როგორი მეთოდით უნდა აშენდეს (გზა უნდა მოწყდეს მდინარეს, მაგრამ სად? — ეს მთავარი საფიქრალია), რამდენი ცხაურიც არ უნდა გავუკეთოთ ვერეს, მას მტკვრისკენ გასასვლელი აუცილებლად სჭირდება. და ბოლოს, თურმე უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციით, თბილისს ახალი გზები სჭირდება, რაც აბსურდია. წარმოიდგინეთ, რომ 40 კმ-იან მანძილზე მტკვრის თითოეულ ნაპირზე 2-2 გზა გვაქვს და მხოლოდ 10 ხიდი, ამ დროს არც ერთი გამტარობით არ გამოირჩევა. ნუ გვავიწყდება, რომ თბილისი არა მხოლოდ დედაქალაქი, არამედ რეგიონის უმნიშვნელოვანესი ქალაქია...

ლევან კალანდაძე (ეკონომისტი): ქალაქის ურბანული განვითარება ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს. კვალიფიციური კვლევის შემდეგ, ჩვენ მსჯელობა მოგვიწევს სხვადასხვა მოდელზე. მათ შორის განსაკუთრებულია ვერეს ხეობის ბუნებრივი განვითარების მოდელი. ოღონდ, მოდით, ვენდოთ ჩვენს მშენებლებს, ქართულ გამოცდილებას!

მალხაზ გომელაური (ბიზნესმენი): მსოფლიოს ბევრ ქვეყანას აქვს მსგავსი პრობლემა, მაგრამ გამოსავალს პოულობენ. ვერეს ხეობა არ უნდა გადავაქციოთ ხევად და არ უნდა დავუთმოთ მდინარეს. ბიზნესი დადგება სპეციალისტების გვერდით... საღი აზრი ის არის, რომ ქალაქის ამ ცენტრალური ტერიტორიის გავერანება არ დავუშვათ. დამიჯერეთ, ახლა რაც არ უნდა შემოღობონ ეს ადგილი, 20-30 წლის შემდეგ მაინც იქნება აქ მოსახლეობა, ან კანონმდებლობა შეიცვლება, ან რა მოხდება, არავინ იცის, ამიტომ აქედანვე ღირს ვერეს ხეობის განვითარებაზე ზრუნვა.

ნოდარ მექმარიაშვილი (ინჟინერი): ორი წელიწადია, ვიბრძვით, საქართველოში შეიქმნას მშენებლობის სამეთვალყურეო ორგანიზაცია. ჯერ ვითხოვდით მშენებლობისა და არქიტექტურის სამინისტროს ჩამოყალიბებას, მაგრამ ამას კონსტიტუციაში ცვლილება სჭირდებაო. გაამარტივეთო... ბოლოს და ბოლოს, ახლა იმ დასკვნამდე მივედით, რომ ვითხოვთ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მე-4 მოადგილე მაინც იყოს სპეციალობით მშენებელი და კურირება გაუწიოს ამ დარგს... ვნახოთ, რა გამოვა.

ჩვენ ორგანიზებულობა გვჭირდება. გვისმენენ ცალცალკე, გვეთანხმებიან და ამით მთავრდება. ვინ უნდა მოუყაროს თავი ჩვენს გადაწყვეტილებებს, სად და როგორ მოხდება რეალიზება? საკითხი ისევ ღიად რჩება...

ნია ფიფია.

P. S. „ზოგი ჭირი მარგებელიაო“ — ამ შემთხვევაში მართლაც არ იყოს ადეკვატური ანდაზა, მაგრამ „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო“ ხომ მიესადაგება? იქნება, ვიპოვოთ გზა... გზა იმისა, რომ ვერემ კიდევ არ გაიტაცოს სხვა სიცოცხლე... და რომ მომავალ თაობას ავარიდოთ ტრაგედია.

თ. მ.

◎ დეპუტატის აზრი

ვერეს ტრაგედიაში ნაციონალებს პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრებათ

გვესაუბრება თბილისის საკრებულოს დეპუტატი ჯაბა სამუშია

— ბატონო ჯაბა, ვერეს ხეობაში დატრიალებული ტრაგედიის მიზეზებს სპეციალური კომისია დეტალურად შეისწავლის, თუმცა, თქვენ, რა თქმა უნდა, გექნებათ საკუთარი აზრი...

— სიღრმეებში ნუ შევალთ, მაგრამ პირველი, რაც ძალიან საინტერესოა, და რაც საეჭვოდ დევს ხელის გულზე, ისაა, რომ ამ ე.წ. ახალ გზას ოფიციალურად არსად არ ქვია ახალი გზა. დოკუმენტაციაში მითითებულია, როგორც ძველი გზის რეკონსტრუქცია. სავარაუდოდ, ეს იმიტომ მოხდა, რომ ახალი გზა ითხოვდა ხეობის უფრო ღრმა შესწავლას და არქიტექტურის სამსახურის, ტრანსპორტის სამსახურის, ზონალური საბჭოსა და ეკონომიკის სამინისტროს დასკვნებს.

— გეოლოგიური დასკვნა?

— გეოლოგიური დასკვნა ყველა შემთხვევაში საჭიროებულია, თუმცა, თუ ახალი გზის პროექტზე იქნებოდა საუბარი, მაშინ უნდა მომზადებულიყო მთელი ხეობის კვლევა და არა მხოლოდ გზის პერიმეტრისა. ძველი გზის რეკონსტრუქციის სტატუსის მინიჭებით წინა ხელისუფლებამ მოსპო ყველა ბიუროკრატიული ბარიერის აუცილებლობა.

— ადრე თუ არსებობდა იქ რაიმე გზა?

— არანაირი გზა არ არსებობდა.

მეორე მნიშვნელოვანი დეტალი ის არის, რომ პირდაპირ გამოაცხადეს ტენდერი. ტენდერში გავიდა ერთი, ხოლო ის დანარჩენი ორი პროექტი, რომელიც დამარცხდა, სწორედ გზის ხიმინჯებზე გავლას ითვალისწინებდა. ანუ გზის ნიშნული ზევით იწევდა და 30 მილიონით მეტი ჯდებოდა.

— ჯებირის არსებობის აუცილებლობა იყო თუ არა გათვალისწინებული?

— ვიდრე გზა არ გაიყვანეს, მდინარე თავის კალაპოტში მიედინებოდა. თუ მოხდებოდა კატაკლიზმები, მდინარე გაიშლებოდა. ამდენად ჯებირის არსებობა აუცილებელი არ იყო, მაგრამ როგორც კი დაუშვეს გზის გასწვრივ განაშენიანება, გაყიდეს მიწები, და საერთოდ, ვერეს ხეობა ურბანულ ქსოვილად გადააქციეს, რა თქმა უნდა, დამცავი სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო.

— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, არც თუ უსაფუძვლოა წინა ხელისუფლების დადანაშაულება იმ ტრაგედიაში...

— რა თქმა უნდა. ნაციონალებს პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ისინი ჩქარობდნენ ამ პროექტის განხორციელებას. ვინაიდან 2009-2010 წლები სწორედ საარჩევნო ციკლს უკავშირდებოდა. არადა, 2-3 თვე რომ დალოდებოდნენ საფუძვლიან დასკვნებს, პროექტი სულ სხვა სახეს მიიღებდა.

— წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილის პროექტი, რომელიც სოლოლაკის რეკონსტრუქციას გულისხმობს, ასეთივე საშიში შეიძლება აღმოჩნდეს თბილისელებისთვის.

— „პანორამა-თბილისსა“ და ამ ტრაგედიას შორის პარალელის გავლება არ შეიძლება. ასე უნიჭოდ დაკავშირება სჩვევიათ ხოლმე ჩვენს ოპონენტებს. სოლოლაკში იქნება თუ სხვაგან, სასტუმროების მშენებლობამ რა პრობლემა უნდა შექმნას? თანაც ეს იქნება ტერასული განლაგება მთაწმინდის იქითა ფერდობზე და არა აქეთ.

— და მაინც: ვერეს ხეობა უნდა დარჩეს რეკრეაციულ ზონად თუ ურბანულ ნაწილად იქცეს. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— როგორც კი დასკვნები დაიდება, ჩვენ შევიმუშავებთ ვერეს ხეობის კონკრეტულ გეგმას. ჩემს პირად აზრს რაც შეეხება, მდინარე უნდა გამოთავისუფლდეს გოფრირებული გვირაბებიდან, გზა უნდა დარჩეს, ოღონდ, ხიმინჯებზე და მის ქვემოთ უნდა შევინარჩუნოთ სარეკრეაციო სივრცე...

— გმადლობთ.

ესაუბრა
თეა მოსია.

P. S. რატომ დაარქვეს ე. წ. ახალ გზას ძველი გზის რეკონსტრუქცია და რამდენად საფუძვლიანია დეპუტატის შენიშვნა, ამასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ე. წ. ახალი გზის მშენებელს, **ბატონ თამაზ შილაკაძეს.** მისი თქმით **„იქ არსებობდა გზის მონაკვეთი, რამდენიმე ქარხნამდე მისასვლელი გზა, თუმცა, გაკეთდა A-დან B-წერტილამდე ერთიან — ჩქაროსნულ გზად. სწორედ ამიტომ დაარქვეს პროექტს „ძველი გზის რეკონსტრუქცია“.**

თ. მ.

◎ ალიან-ჩალიანი

„კომუნისტური“ პარტიის წევრები იყვნენ გამოჩენილი, დიდი მეცნიერები და ეროვნული მოღვაწეები

დებატები, რომელიც „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებებთან დაკავშირებით გუშინდელ საკომიტეტო სხდომაზე ორი დღის წინ დაიწყო, გუშინ კვლავ გაგრძელდა. „ჩემთან მაინც შეწყვიტეთ კომუნისტების ხსენება და ამაზე ლაპარაკი. საერთოდ არ ღირს იმაზე ლაპარაკი, ვინ რომელ პარტიას ეკუთვნოდა, რომელ პარტიაში მოღვაწეობდა, ეს მისი პირადი საქმეა. მთავარია, რას აკეთებდა ის ქვეყნისთვის. ვინც იყვნენ „კომუნისტური პარტიის“ წევრები, გამოჩენილი, დიდი მეცნიერები და ეროვნული მოღვაწეები, დამისახელეთ თქვენი რიგებიდან იმ მასშტაბის პიროვნებები, როგორებიც იყვნენ: ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ვიქტორ კუპრაძე, არჩილ ხარაძე. დავასრულოთ ეს“, — განუცხადა კიღურაძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ნაციონალ დეპუტატ სერგო რატიანს.

ინტერპრესი

◎ კონსულტაციები დაიწყო

ვინ შეცვლის გიორგი ქადაგიძეს?

ბოლო რამდენიმე დღეა განსაკუთრებით აქტუალური საკითხია, თუ ვინ შეიძლება გახდეს ეროვნული ბანკის მომავალი პრეზიდენტი, ვინაიდან მოქმედ პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძეს უფლებამოსილების ვადა რამდენიმე თვეში — 2016 წლის თებერვალში ეწურება.

ეროვნული ბანკის მომავალი მმართველის კანდიდატურასთან დაკავშირებით კონსულტაციები მალე დაიწყება. მოლაპარაკებებში ჩაერთვებიან არასამთავრობო სექტორი, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, საქართველოს მთავრობა, ბიზნესასოციაციები და თავად ეროვნული ბანკი.

სხვადასხვა წრეებში უკვე დაიწყო საუბარი შესაძლო კანდიდატურებთან დაკავშირებით, რომელთა შორის სახელდება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი **ნოდარ ჯავახიშვილი,** რომელსაც წლების წინათ — 1993-1998 წლებში ეკავა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტი.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მოქმედმა მინისტრმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით. რაც შეეხება მის პროფესიულ გამოცდილებას, იგი 2011-2014 წლებში სს „ქართუ ბანკის“ გენერალური დირექტორი იყო, მანამდე კი, 1999 -2004 წლებში, საქართველოს პარლამენტის დეპუტატი გახლდათ და საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის და მოადგილის პოსტებსაც იკავებდა.

ნოდარ ჯავახიშვილის გარდა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სავარაუდო კანდიდატებს შორის ფიგურირებს ეროვნული ბანკის კიდევ ერთი ყოფილი პრეზიდენტის **ირაკლი მანაგაძის** კანდიდატურაც, რომელიც ქვეყნის ცენტრალურ საფინანსო ინსტიტუტს 1998-2005 წლებში ხელმძღვანელობდა. ირაკლი მანაგაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით.1991 წელს ირაკლი მანაგაძე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ატაშეს თანამდებობაზე დაინიშნა. 1993 წელს კი საქმიანობა გააგრძელა საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტში მთავარ სპეციალისტად. მანაგაძეს მსოფლიო ბანკში მუშაობის გამოცდილებაც აქვს — 1994 წლიდან 1996 წლამდე ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის აღმასრულებელი დირექტორის თანაშემწის თანამდებობა ეკავა. ირაკლი მანაგაძეს მინიჭებული აქვს ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ასევე საუბარია **მიხეილ დუნდუას** კანდიდატურაზე, რომელიც ეკონომიკის ექსპერტი და საზოგადოება 20/30-ის ანალიტიკოსია. მიხეილ დუნდუა საზოგადოებისთვის ცნობილი განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გახდა მას შემდეგ, რაც ლარის გაუფასურების გამო მწვავედ აკრიტიკებს ეროვნული ბანკის მოქმედ პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძეს.

კიდევ ერთი კანდიდატი, რომელსაც სხვადასხვა წრეში ეროვნული ბანკის სავარაუდო კანდიდატად მოიხსენიებენ, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი **დავით საგანელიძეა.** საგანელიძეს მიღებული აქვს ეკონომისტის, ასევე იურისტის განათლება, გარდა ამისა, დამთავრებული აქვს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. რაც შეეხება მის პროფესიულ გამოცდილებას, დავით საგანელიძე 1996-99 წლებში სს „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო, 1997-99 წლებში იკავებდა სს „თიბისი ბანკის“ დირექტორთა საბჭოს წევრის პოსტსაც. 1999 წლიდან კი საქართველოს პარლამენტის წევრია. ამასთან, 2010-2012 წლებში დავით საგანელიძე თბილისის საკრებულოს დეპუტატი იყო.

კანონის თანახმად, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის კანდიდატურა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პარლამენტს უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი შვიდი წლის ვადით, საქართველოს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

როგორც ეკონომიკის საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველი გიორგი აბაშიშვილი აცხადებს, ეროვნული ბანკის საბჭოს ახალი წევრის კანდიდატურის შერჩევისას მთავარი კრიტერიუმები იქნება გამოცდილება, ცოდნა და განათლება ეკონომიკისა და ფინანსების სფეროში. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის აზრით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი პოლიტიკური ზეგავლენისგან თავისუფალი უნდა იყოს.

თამთა ჯიჯავაძე

◎ ალიან-ჩალიანი

„ჩემს ხელმძღვანელს თავად ავირჩევ“

პარლამენტი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების დირექტორის თანამდებობაზე არჩევის წესს ცვლის. გუშინდელ სესიაზე მეორე მოსმენით — მუხლობრივად განიხილეს „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები, რომელიც პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივაა.

პროექტის გათვალისწინებით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ასევე სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს, პრემიერთან შეთანხმებით სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების დირექტორის მოხსნა-დანიშვნის უფლებამოსილება აღარ ექნება. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერ-თანამშრომლებს ეძლევათ საშუალება, თავად განსაზღვრონ, ვინ იქნება დაწესებულების ხელმძღვანელი.

კანონპროექტი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების დირექტორის არჩევის უფლებამოსილებას სამეცნიერო საბჭოს ანიჭებს. კერძოდ, პროექტის მიხედვით, დირექტორი ღია კონკურსის წესით, დაწესებულების სამეცნიერო საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით — ხუთი წლის ვადით აირჩევა. დირექტორად არჩეულ პირს კი, თანამდებობაზე სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს ხელმძღვანელი ნიშნავს.

პროექტის მიხედვით, დირექტორის თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც არა აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

აღნიშნულთან დაკავშირებით ალტერნატიული წინადადებები წარადგინა პარლამენტის ოპოზიციონერმა დეპუტატმა სერგო რატიანმა. მისი ალტერნატიული პროექტის მიხედვით, სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა თავად უნდა აირჩიონ დირექტორი, ზემდგომი ორგანოს მიერ დანიშვნისა და დამტკიცების გარეშე. გარდა ამისა, რატიანმა პარლამენტს შესთავაზა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სახელმწიფო კონტროლი საქართველოს პარლამენტმა განახორციელოს.

ბათუმის მერია ჯიხურებს ძველ ადგილებზე დააბრუნებს

ბათუმის მერმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველა ჯიხური დაბრუნდება ძველ ადგილებზე და მოვაჭრეებს მიეცემათ საქმიანობის გაგრძელების ნებართვა სექტემბრის ბოლომდე, — ამის შესახებ მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა ზაალ მამუჭაძემ მას შემდეგ განაცხადა, რაც გარემოვაჭრეებმა რამდენიმე ჯიხურის „ჭაჭის თაუერის“ ტერიტორიიდან გადატანა გააპროტესტეს.

როგორც ზაალ მამუჭაძემ განმარტა, მერიის ზედამხედველობის სამსახურმა 8 ჯიხური ტერიტორიიდან დასაწყობების მიზნით გაიტანა. მისივე თქმით, მერია იმსჯელებს, რა ფორმით გააგრძელებენ გარემოვაჭრეები საქმიანობას სექტემბრის შემდეგ.

სუვენირებისა და სამკაულების ჯიხურები ბათუმში საბაგიროს ტერიტორიასა და გოგებაშვილის ქუჩის გასწვრივ იყო განლაგებული. რამდენიმე დღის წინათ კი ბათუმის მერიამ ჯიხურები „ჭაჭის თაუერის“ მიმდებარედ ორ მწკრივად განალაგა, რასაც როგორც გარემოვაჭრეების, ასევე, ბათუმელების პროტესტი მოჰყვა.

ბათუმის მერიამ ჯიხურების აღება მეპატრონეებთან შეუთანხმებლად დაიწყო. მობილიზებული იყო სპეცტექნიკა და მერიის სამსახურები, რომლებმაც 8 ჯიხური ადგილიდან გაიტანეს, სამუშაოები კი მას შემდეგ შეაჩერეს, რაც გარემოვაჭრეები ადგილზე მივიდნენ და სპეცტექნიკას ჯიხურების აღების საშუალება აღარ მისცეს.

ინტერპრესი

◎ რეიტინგი

ბიზნესფლაგმანები

როცა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებას ასპექტებზე ვლაპარაკობთ, ხშირად ვახსენებთ ხოლმე სხვადასხვა, ვთქვათ, კავშირგაბმულობის, საბანკო, სამშენებლო, სადაზღვევო, ლოჯისტიკისა და სხვ. მოწინავე დიდ კომპანიებს. ამასთან, ნაკლებად ვინტერესდებით საქართველოში მეწარმეობის, ასე ვთქვათ, ერთიანი პალიტრით, იმით, თუ რომელი კომპანიები არიან ჩვენში ბიზნესის „მთავარი გამფერადებლები“. ცოტა ხნის წინათ ეს ერთგვარი „თეთრი ლაქა“ ილიას უნივერსიტეტის ბიზნესკოლის სპეციალისტებმა შეავსეს, რომლებმაც, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის მონაცემებზე, კერძოდ, საქონელბრუნვის მაჩვენებლებზე დაყრდნობით, ჩვენში ყველაზე დიდი კომპანიების რეიტინგი შეადგინეს. საგანგებოდ აღვნიშნავთ იმასაც, რომ მასში შეტანილი არ არიან საბანკო და სადაზღვევო სექტორების წარმომადგენლები.

ამ გამონაკლისის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საქართველოში უდიდესი კომპანიების ასეულში ყველაზე მეტი **ნავთობისა და გაზის იმპორტიორია** (14 პროცენტი), შემდეგ მოდიან **ენერგეტიკის** (7 პროცენტი), **კვების ინდუსტრიისა და ვაჭრობის** (9-9 პროცენტი), **ტრანსპორტის** (8 პროცენტი), **ავტოსადილერო** (7 პროცენტი), **ფარმაცევტული** (6 პროცენტი), **კომუნიკაციების, რითეილისა და მშენებლობის** (5-5 პროცენტი), **თამბაქოს მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის რეალიზაციის** (4-4 პროცენტი), **აზარტული თამაშების** (3 პროცენტი), **სასოფლო-სამეურნეო** (2), **ტექნოლოგიებისა** (ერთი პროცენტი) და სხვა სეგმენტების წარმომადგენელი ფირმები.

საქართველოს ყველაზე დიდი კომპანიების ათეული

1. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ (ნავთობი),
2. შპს „ტოიოტა კავკასია და ცენტრალური აზია“ — (ავტოდილერი)
3. სს „ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯია“ — (ნავთობი)
4. სს „საქართველოს რკინიგზა“ — (ტრანსპორტი)
5. შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ (გაზი)
6. შპს „რომპეტროლ საქართველო“ (ნავთობი)
7. შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ (მძიმე ინდუსტრია)
8. შპს „სან პეტროლეუმ ჯორჯია“ (ნავთობი)
9. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (გაზი)
10. შპს „სოკარგაზ ექსპორტ-იმპორტი“ (გაზი).

კვლევაში აღნიშნულია, რომ წინა, 2013 წელთან შედარებით, პირველი ადგილი უცვლელად „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს“ უკავია, „ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯიამ“ კი უწინდელი მეოთხედან მესამე ადგილზე გადაინაცვლა, რაც არც არის გასაკვირი, ვინაიდან ორივე კომპანია ქვეყანაში ნავთობპროდუქტების უდიდესი იმპორტიორია. ერთი ადგილით ქვევით ჩამოიწია „საქართველოს რკინიგზამ“, ტოპ-ათეულში კი ადგილები დაიკავეს „ჯორჯიან მანგანეზმა“, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ და „სოკარგაზ ექსპორტ-იმპორტმა“, რომლებმაც, შესაბამისად, ათეულს მიღმა დარჩენილი „ბრიტიშ პეტროლეუმი“, „ლუკოილ ჯორჯია“ და „ენერგო პრო ჯორჯია“ ჩაანაცვლეს.

თუკი სიის მთლიან შემადგენლობას თვალს კიდევ ერთხელ გადავავლებთ, დავინახავთ, რომ ათიდან შვიდი ყველაზე დიდი კომპანია, ასე თუ ისე, ნავთობისა და გაზის ბიზნესთანაა დაკავშირებული, რაც, ვფიქრობთ, გასაკვირი სულაც არ არის.

რაც შეეხება ეკონომიკის სხვადასხვა სეგმენტებში ყველაზე დიდ კომპანიებს, ასეთები, კერძოდ არიან: საკომუნიკაციო სფერო —**„მაგთიკომი“,** სამშენებლო სფერო —**„აზეროილ სერვისი“,** თამბაქოს იმპორტი და რეალიზების სფერო — **„ელიზი ჯგუფი“** , აზარტული თამაშების სფერო —**„ქართული კაზინოს ჯგუფი“,** ფარმაცია და მედიცინა — **„PSP ფარმაცია“,** უალკოჰოლო სასმელების წარმოების სფერო —**„ADS ბორჯომი“,** რითეილის სფერო —**„გუდვილი“,** საყოფაცხოვრებო ტექნიკის რეალიზების სფერო —**„ელიტ ელექტრონიკსი“,** აგროსერვისის-საფერო — **აჭარის შაქრის კომპანია,** დისტრიბუციის სფერო —**„დიპლომატ ჯორჯია“,** საინფორმაციო ტექნოლოგიების სფერო — **UGT**.

ოთარ ტურაბელიძე



სელიმ ხიმშიაშვილი – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამოხსნისთვის წამებული რაინდი

გასულ კვირას ბათუმში ჩატარდა გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, სამხრეთ საქართველოს გამოხსნისათვის წამებული რაინდის სელიმ ხიმშიაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ძირითადი მოხსენება ს. ხიმშიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ბიჭიკო დიასამიძემ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენლებმა: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა და მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გურამ ლორთქიფანიძემ.

ვაქვეყნებთ სტატიას სელიმ ხიმშიაშვილის შესახებ.

2015 წლის 3 ივნისს 200 წელი შესრულდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის სახელოვანი წინამძღოლის **სელიმ ხიმშიაშვილის** ტრაგიკული აღსასრულიდან. ეს თარიღი საინტერესო ღონისძიებებით აღინიშნა აჭარაში.

ხიმშიაშვილების გვარს იმ პერიოდში მოუწია აჭარის მმართველობა, როცა მუსლიმან დამპყრობლებთან (ირანი, ოსმალეთი...) ბრძოლაში დაუძლურებულმა საქართველომ თავისი ბედი ერთმორწმუნე რუსეთს დაუკავშირა და ამ უკანასკნელმა როგორც „მფარველმა“ საბოლოოდ გამოაჩინა თავისი ჭეშმარიტი მიზნები. აჭარის ხელისუფალთ, რომლებიც ამ დროს ოსმალებს ემორჩილებოდნენ, ორმაგი თამაში უწევდათ იმ მამულიშვილური ამოცანების გადაწყვეტაში მონაწილეობისათვის, რასაც „გამოხსნა-აღდგომას“ ვუწოდებთ და რომლის საბოლოო მიზანი ერთიანი საქართველოს დამოუკიდებლობა იყო. თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ამ ამოცანის განხორციელებაში ამ გვარის წარმომადგენლებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს.

ხიმშიაშვილთა გვარის პოლიტიკური აქტიურობის ისტორია XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება, როცა აბდულ ბეგ (აღა) ხიმშიაშვილი 1784 წელს ერთ-ერთ ბრძოლაში (გურია, აკეთი) მოკლეს.

ცნობილი ეთნოგრაფის თ.სახოკიას მიხედვით, რომელიც ზეპირ გადმოცემებს ეყრდნობა, აჭარელი ხიმშიაშვილები არაგვისპირეთის (დუშეთის მაზრა) ხიმშიაშვილთა მონათესავეა. XVII საუკუნეში კაცი შემოკვდომიათ და აჭარისათვის შეუფარებიათ თავი. იმასაც ამბობდნენ, ხიმშიაშვილები XIV საუკუნის ბოლოს თემურ-ლენგის წინააღმდეგ მებრძოლი ხიმშიას შთამომავლები არიან და გვარიც ამ პიროვნებიდან მომდინარეობსო. მაგრამ ახლა, როცა აღმოჩენილია XV საუკუნის წყარო „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მინაწერები, რომელთაგან ერთ-ერთში მოხსენიებულია დაყუდებული ვინმე მწერალი ხიმშიაშვილი, რომელიც ჩარიცხული ყოფილა ამ მონასტრის „მწირველთა თანა“, ცხადი ხდება, რომ ხიმშიაშვილები იმ დროის მესხეთის ადგილობრივი ფეოდალები ყოფილან, რადგან, როგორც პროფ. შ.ლომსაძე წერს, მონასტრის განგების თანახმად, ასეთი პირი „დიდად საპატიო და ნამსახური“ გვარისშვილი უნდა ყოფილიყო. ამ აზრს ამაგრებს 1917 წელს ე. თაყაიშვილის მიერ მოწყობილი ექსპედიციის დროს აღმოჩენილი XVI საუკუნის კარნავაზის წარწერაში მოხსენიებული დიდი ფეოდალის მერაბ ხიმშიაშვილის შემორჩენილი სასახლე და არსენიაკი.

ასე რომ, ეჭვგარეშეა XV საუკუნიდან ხიმშიშვილთა ფეოდალური სახლის არსებობა მესხეთში, რომლის წარმომადგენლები ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ, იძულებული გახდნენ, გადასახლებულიყვნენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში, მათ შორის აჭარაშიც. აქ, კი, შესაძლებელია, ლტოლვილი ხიმშიაშვილების იმ შთამომავლებმა მოიპოვეს აღიარება და ტიტულები, ვინაც მიიღო ოსმალთა ქვეშევრდომობა და მუსლიმანობა. ამათგან, როგორც ჩანს, პირველი აბდულ ბეგი ან მისი წინაპარი იყო. საინტერესოა მკვლევარ შოთა ლომსაძის დაკვირვება, რომ 1770 წლის ცნობილ ასპინძის ბრძოლაში ახალციხის საფაშოს მხარეზე აჭარის სანჯაყი არ მონაწილეობდა. „როგორც ჩანს, — ასკვნის მკვლევარი, აჭარამ, ახალციხის ნომა ფაშას ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობაზე უარი უთხრა... რის გამოც 1774 წლის მაისში აფორიაქებულ აჭარაში თურქთა დამსჯელი კორპუსი შევიდა“.

აშკარაა, რომ XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან, ქართლ-კახეთის ტახტზე ერეკლე II-ის ასვლის შემდეგ, როცა ქვეყნის „გამოხსნა-აღდგომის“ ფართო გეგმა დაისახა, უპირველეს ამოცანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამოხსნა იყო გათვალისწინებული, რადგან ეს მხარე „საქართველოსა შინა არის და ქართული ენა აქუს,“ როგორც მაშინდელ პროექტებში იყო მითითებული. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, გასაგები ხდება 1770 წელს აჭარის მმართველთა პოზიცია და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს აქ ხელისუფალი აბდულ ბეგი უნდა ყოფილიყო.

1784 წლიდან, მამის დაღუპვის შემდეგ, აჭარის მმართველი გახდა სელიმ ხიმშიაშვილი, ამ გვარის ერთი ყველაზე გამორჩეული პიროვნება, რომელმაც ოსმალეთის სამეფო კარის ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურს, სამთუღიანი ფაშის ტიტულს მიაღწია, თუმცა არასდროს დავიწყებია თავისი მისია — ქვეყნის გამოხსნა და სიცოცხლეც ტრაგიკულად შემდეგი სიტყვებით დაუსრულებია: „თქვენ შეგიძლიათ, ჩემი თავი ჩემს სხეულს მოაშოროთ, მაგრამ აჭარა მაინც გურჯისტანს დარჩება. ამას მე ჩემს შვილებს ანდერძად დავუტოვებ.“

მამის დაღუპვისას სელიმი ოცდაცხრა წლისა ყოფილა (დაბ. 1755 წ), სტამბულში მიღებული უმაღლესი სამხედრო განათლებითა და მაიორის ჩინით (ა. სურგულაძე, რ. სურმანიძე), კარგად სცოდნია ქართული, რაზეც მიუთითებს მისი ქართულად დაწერილი წერილები რუსი ჩინოვნიკებისა და გურიის მთავრებისადმი. ეს ის დროა, როცა ოსმალეთის იმპერია მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა, რასაც დაპყრობილი არათურქული პროვინციების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გააქტიურება მოჰყვა. გამონაკლისი არც „სამაჰმადიანო საქართველო“ იყო, სადაც მართალია, ოსმალური ცხოვრების წესი თანდათან იკიდებდა ფეხს, მაგრამ მათი ბატონობა აქ ნორმალურია, იმპერიის ცენტრალური რაიონებისაგან განსხვავებით, მმართველობა აქ მემკვიდრეობითი იყო. ამასთან, ძალაუფლებას მთლიანად ხიმშიაშვილი ბეგები ფლობდნენ. მალე ახალციხის საფაშოში ტახტისთვის ჯერ ჯაყელთა საგვარეულოში დაიწყო ქიშპობა, შემდეგ მასში სხვა ძალებიც აღმოჩნდნენ ჩაბმული, მათ შორის სელიმ ხიმშიაშვილიც.

ეს კი 1791 წელს, ახალციხის ფაშის სულეიმან ჯაყელის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო. 1803 წლამდე ახალციხის ფაშის ტახტი მცირე ხნით ეკავათ ჯაყელთა გვარის წარმომადგენლებს ისაყს, შერიფს, იუსუფსა და საბუდს. ამ უკანასკნელს მხარს უჭერდა სელიმი, მაგრამ შერიფმა (სულეიმანის შვილი) იმერეთს შეხიზნული საბუდი მუხანათურად მოაკვლევინა, რამაც საბაბი მისცა სელიმ ხიმშიაშვილს, თვითონ ებრძოლა ფაშის ტახტისათვის. 1801 წლის 21 ნოემბერს შერიფსა და ტახტისმაძიებელ სელიმს შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ციხე-ქალაქ ოლთისთან, სადაც სელიმმა გაიმარჯვა. თითქოს ფაშის ტახტი სელიმისთვის გარანტირებული იყო, მაგრამ სულთანმა ტახტზე რაჯაბი დასვა. როგორც ჩანს, ოსმალეთის ხელისუფლება სელიმს არ ენდობოდა და ახლა, როცა რუსეთმა ქართლ-კახეთში მეფობა გააუქმა და ახალციხის საფაშოს უშუალოდ დაუმეზობლდა, ჩანს, ოსმალეთის ხელისუფლებას იქ ფაშად მისთვის საიმედო პირი სურდა, მაგრამ ფაქტობრივ მმართველად მაინც სელიმი იქცა და მალე რაჯაბი გადადგა კიდეც (შ. ლომსაძე).

სულთნის კარს ისღა დარჩენოდა, ეცნო მომხდარი ფაქტი. 1803 წლის 21 სექტემბერს „სელიმ ფაშას თუღები და მუყარლამა მოუვიდა“ (ქრონიკები). ასე რომ, სამცხე-საათაბაგოს მმართველობის ისტორიაში პირველად ჯაყელების გვარს ხიმშიაშვილთა გვარი ჩაენაცვლა. სელიმი ახალციხის საფაშოს ორჯერ ედგა სათავეში 1803-1809 და 1812-1815 წლებში. იგი ჯერ კიდევ ადრე, აჭარის სანჯაყ-ბეგობის დროს, ცდილობდა საქართველოს მეფე-მთავრებთან ურთიერთობის დამყარებას და კეთილმეზობლობის აღდგენას. ამ მიზნით დაუმოყვრდა გურიის მთავარ სიმონ გურიელს (თავისი მცირეწლოვანი შვილი აბდი დანიშნა სიმონის ქალიშვილ კესარიაზე). ასევე შეეცადა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების ნდობისა და მხარდაჭერის მოპოვებას, რათა ისინი გამოეყენებინა საფაშოს ძველ, სამცხე-საათაბაგოს უფლებებში აღდგენისათვის ბრძოლაში. მთავარმართებელ პ. ციციანოვს წერდა: „მენატრება, რათა თქვენის ჯარის დახმარებით მთელი ამ ჩვენი გურჯისტანის ადგილები ჩამორთმეულ იქნეს ოსმალებისგან და იგი გადაკეთდეს ისეთ სახელმწიფოდ, როგორც ის ათაბაგების დროს იყო“. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის ოსმალთა იმპერიის სამთუღიან ფაშას, რომელმაც რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლების ომში გადამწყვეტ მომენტში აწყურთან და ყარსთან არ შეასრულა ოსმალ ხელისუფალთა ნება — არ ააოხრა ქართლის სასაზღვრო სოფლები და ზურგში არ დაარტყა ყარსის მოალყე რუსებს, ცხადი გახდება, რომ სელიმი ღიად აუჯანყდა ოსმალებს. იგი მზად იყო რუსებთან გაეფორმებინა ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში ახალციხის საფაშოს შესვლის შესახებ, მაგრამ მოლაპარაკებები ჭიანურდებოდა, პოლიტიკური მოვლენები კი სწრაფად იცვლებოდა. სწორედ ეს გახდა საფუძველი 1809 წელს ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით შერიფ ჯაყელის მიერ სელიმისათვის საფაშოს ტახტის წართმევისა.

სელიმმა 1812 წელს მეორედ მოახერხა შერიფისთვის ტახტის წართმევა და ახალციხის ციტადელის დაკავება, მაგრამ ამჯერადაც უმოკავშირეოდ დარჩენილმა და ცენტრალური ხელისუფლებიდან შერისხულმა ვეღარ შეძლო ტახტის შენარჩუნება. მართლაც, სულთნის ბრძანებით გამოგზავნილი არზრუმის სერასკირი ფეხლევან-ბაბა ფაშა 15 ათასი კაცითა და სხვა დამხმარე ძალებით შემოადგა ხიხანის ციხეს, სადაც მცირერიცხოვანი მხლებლებით სელიმი იყო ჩაკეტილი. ალყა გრძელდებოდა, მოალყეები ახლო სოფლებს აწიოკებდნენ.

სელიმის ცხოვრების ბოლო დღეებსა და საათებზე სხვადასხვა ვერსიაა გავრცელებული. ერთი, ყველაზე გავრცელებული, ციხის შიგნიდან გატეხვაზე მოგვითხრობს, მეორე — სელიმის თავგანწირვაზე, რომ უდანაშაულო ადამიანთა აწიოკება შეწყვეტილიყო. ვფიქრობთ, უფრო სარწმუნო უნდა იყოს მეორე ვერსია, რადგან ამ სიტყვების მთქმელი პიროვნება — „თქვენ შეგიძლიათ ჩემი თავი ჩემს სხეულს მოაშოროთ, მაგრამ აჭარა მაინც გურჯისტანს დარჩება. ამას მე ჩემს შვილებს ანდერძად დავუტოვებ“, ნამდვილად თვითონ ჩაბარდებოდა ჯალათებს, რათა თანამემამულენი დარბევისაგან ეხსნა. სელიმს 1815 წლის 3 ივნისს თავი მოკვეთეს ხიხანის ციხის ძირში — სოფ. ბაკი-ბაკოში (ადგილი სერიყანა).

სელიმ ხიმშიაშვილის ბრძოლის პოლიტიკური იდეალი დამოუკიდებელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აღდგენა იყო ძირითადად, სამცხე-საათაბაგოს ფარგლებში, რაც გვიანფეოდალურ საქართველოში მიღებული ლოზუნგის „გამოხსნა-აღდგომის“ პირველი ნაწილის — „გამოხსნის“ პროცესის დასაწყისი იქნებოდა.

სელიმ ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით თავგანწირულმა ბრძოლამ ხელი შეუწყო ოსმალთა ბატონობის შესუსტებას, მოსახლეობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას და განმათავისუფლებელი ბრძოლის გაფართოება-გაძლიერებას. ამიტომაა, რომ ხალხმა იგი გმირად შერაცხა.

სელიმ ხიმშიაშვილის ანდერძი მისი შვილიშვილის — შერიფ ხიმშიაშვილის უშუალო მონაწილეობით განხორციელდა, როცა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი აჭარითურთ დედა-საქართველოს დაუბრუნდა.

ბიჭიკო დიასამიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორ-ემერიტუსი

◎ ალიან-ჩალიანი

შეხვედრა ეკომიგრანტებთან

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი, ქვემო ქართლის გუბერნატორი პაატა ხიზანაშვილი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები წალკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ეკომიგრანტ ოჯახებს შეხვდნენ.

2015 წელს, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა პროექტი „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დროებით სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემისათვის საჭირო ღონისძიებათა თაობაზე“. პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წელს მოხდება 2004-2012 წლებში შესყიდული საცხოვრებელ სახლებისა და მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზების შედგენა, მათი ხელახალი რეგისტრაცია სახელმწიფო საკუთრებად. რეგისტრაციის შემდგომ, აღნიშნული სახლები კერძო საკუთრებაში გადაეცემა 1000-მდე ეკომიგრანტ ოჯახს, მათ შორის, 571 ოჯახს წალკის მუნიციპალიტეტში.

მინისტრი სოზარ სუბარი ეკომიგრანტი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების დაკანონების პროცესს ადგილზე გაეცნო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით, წალკის მუნიციპალიტეტში, ჯანმრთელობის ცენტრ „მედინას“ ექიმებმა ეკომიგრანტებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარეს.

წალკაში ვიზიტის ფარგლებში, „საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციამ“ ეკომიგრანტ ოჯახებს საკვები პროდუქტები გადასცა.

ინტერპრესი

ოტია იოსელიანის გარდაცვალებიდან ოთხმა წელიწადმა განვლო.

16 ივნისს, წყალტუბოში, ოტიას სახლ-მუზეუმში, დაბადებიდან 85-ე წლისთავთან დაკავშირებით სხვადასხვა ღონისძიება გაიმართა. მათ შორის, მწერლის თაყვანისმცემელთ წარედგინა რამდენიმე ჩანახატი გიზო ზარნაძის მომავალი წიგნიდან „ასეთიც იყო ოტია“, რომელიც მალე გამოვა.

ესაა ქვეყანა?! კაცი ცოცხალი ყოფილა და!..“

ისევ და ისევ 90-იანი წლები. ისევ და ისევ ჩაბნელებული ქვეყანა.

უშუქობის გამო ტელეფონები უქმადაა. არ მუშაობს.

მოხდა სასწაული და, მთელი კვირის ჯახირის შემდეგ, ავკრიფე წყალტუბოს კოდი და დავუკავშირდი ოტიას.

– ცოცხალი ხარ შეენ?! არ მოყოლილხარ დარბევებში?! რას შობით მაქანე, რავა არიენ ბოვშები? – დამაყარა და დამაყარა.


ოტია იოსელიანი

– ვერ გიკავშირდებოდი უშუქობის გამო. თვითონ რასა იქმ?

– რაფრაც შეეფერება ტყეში მაცხოვრებელს! არა გაზეთი, არა ჟურნალი, არა რადიო! ტელეხედვა უშუქოდ ვის მოსტრეშია!.. არადა, ესაა საქმე?! ისე გარდაცვლილა ნამეტანი კაი კაცი, აკადემიკოსი ავლიპ ზურაბაშვილი, წყალტუბოში კაციშვილს არ გაუგია!

დავიბენი. ხმას ვერ ვიღებ. ვთქვათ, წყალტუბოში ვერ ჩააღწია, მაგრამ აქ, დედაქალაქშიც ვერ მოვკარით ყური?!

– აბა, აბა... – ვთქვი, რაც შემეძლო, გულმწუხარესავით და შუქიც წავიდა.

დავტრიალდი, მივიკითხ-მოვიკითხე. ხალხიც დაბნეულია. ნუთუ?.. კი მარა, ერთს მაინც რავა არ დასცდა?! ყველას უკვირს, ყველა მხრებს იჩეჩავს.

ბოლოს ფსიქიატრიულშიც დავრეკე. იღბლად, პირდაპირ დირექტორთან მოვხვედრილვარ.

– გისმენთ, პატივცემულო! – მომესმა ცნობილი ზურაბაშვილისეული ხმა. კრინტს ვერ ვძრავ. თან მიხარია, თან მიკვირს. ვერ მომისაზრებია, რა ვთქვა.

– არ ინებებთ რაიმეს თქმას?!

– არაფერი, არაფერი. უბრალოდ, მიხარია, ცოცხალი რომ ბრძანებულხართ!

– აჰა! უნდა ვივარაუდოთ, რომ რაღაც ფათერაკიანი სიზმარი გინახავთ ჩემზე, არა?

ყურმილი დავკიდე და ახლა ოტიას ვურეკავ გახარებული.

– ოტო, ვინ თქვა, ავლიპი მოკვდაო! ეს წუთია, ველაპარაკე, ცოცხალია ავლიპი!

– ჰოდა, ეგ სულ უარესი! ესაა ქვეყანა? კაცი ცოცხალი ყოფილა და ჩვენ აქ, მთელი თვენახევარი, იმის შესანდობარს ვსვამთ!

ნანამ მიხსნა!

2004 წლის ივლისია. აივანზე, ტალავრის ჩრდილში ვსხედვართ: ოტია, მე და ერთი მისი ახლობელი კაცი. არ ვიცნობ, მაგრამ მასპინძელი არ თვლის გაცნობას საჭიროდ!

ვსაუბრობთ. ლაპარაკობენ ამ მთისას, იმ ბარისას. უმეტესად, მასპინძელი, რომელიც, ეტყობა, ვერაა, მაინცდამაინც, გუნებაზე. არავის და არაფერს ინდობს, კენწლავს, აქილიკებს...

სტუმარი ყოველ სიტყვაზე კვერს უკრავს, აპა რა, აპა რაო! ვატყობ, რაღაცის ჩართვას ლამობს, ორი სიტყვის; ხშირ-ხშირა დასჩერებია საათს, მაგრამ ოტია „ვერ ამჩნევს“.

ჩაურთო, როგორც იქნა.

– ოტიას შემოვევლე, იმას რომ შემპირდი, ვეცდები, გიშონოო, ხო არ გაგხსენებია?

– ?!

– შალვას ბიჭებს შევასახელებ, კაი ბოვშები ყავს შალიკოს, თუკი სადმე იშოვება, უსათუოდ გამიხერხებენო. არადა, რა ვქნა, ხუთი კვირეა, მანქანა გარაჟში მიყენია!..

– გარაჟი ქე გააქ?

ახლობელმა თავი ჩაღუნა, თვინიერად გაუღიმა.

– ჩეირბინე ერთი ქვეით! – ახლა მე მომმართავს, – არ გეზარება და არაფერი! იქინე, სახაბაკოში, ჯვართავაა და ამოუტანე ამ კაი კაცს.

ჩავრბივარ ქვის ვეებერთელა, მრავალფალანგიან კიბეზე და შუაგზაში ვაცნობიერებ, რომ ვერ ვხვდები, – რისთვის მაგზავნის!

უკან მიბრუნებაც მეუხრხულება, ხომ ცხადია, „ტრუბაში“ გამაძვრენს!

ჩავათავე კიბე, შევვარდი სამზარეულოში, სადაც ნანა მეგულება, ინასარიძე (ოტიას მეორე მეუღლე) და სულმოუთქმენლად ვეუბნები: მიშველე, ნანა, შენი ჭირიმე, სადღაც, სახაბაკოში, რაღაც ჯვართავა ყოფილა-მეთქი!

– „ნივის“ ბარდაჩოკშია ეგერ, – თან სიცილი ეძალება, – ქაღალდში შეხვეული „კრესტავინა“.

ამასობაში, შემაგვიანდა უკან აბრუნება და ოტიას რამეს გამოაპარებ? წამებში აქვს გათვლილი ყველაფერი.

– სა იყავი ამდენ ხანს, მაღაზიაში?!

„რავარი უვარგია ვენახში ბალახს!“

1982 წელია.

როგორც იქნა, მოვაბი თავი და ოტიას წაქეზებით და დახმარებით, მშობლიურ სოფელში, ჩხარში, მამაპისეულ, უსახლკარო ეზოში, ხის აივნიანი, მომცრო ოდა-სახლი ჩავდგი.

– ბოლო-ბოლო, აღარ მანახებ იმ შენს ადგილ-მამულს?! მოათავე ქოხი? – მეკითხება ოტია.

– კი ბატონო, თუნდაც ამ კვირასვე! მოვიდა?

– „მოვიდა“ არაფერ შუაშია. ნუ მეუარგონები? კვირას, უქმე დღეს, აპა, სხვა დროს საყიალოდ და საექსკურსიოდ მცალია?! ამოვალთ აგერ (წყალტუბოდანო) მე, ნანაიე და, ეთერი თუ გაგეგონება, გალუსტოვა, თეატრალი, მსტუმრობს და იმასაც ვასიამოვნოთ.

– რაზეა ლაპარაკი! – ვთქვი არხეინად.

– ეგ ჯაბამ „დაიკანონა“, იოსელიანმა, პარლამენტის სხდომაზე თქვა ერთხელ და მორჩა, აიტაცა ხალხმა. ეგ რუსული კალკია – „ო ჩომ რეჩ!“ ვითომ არ მოიძევა ქართულში მაგის შესატყვისი?! თუნდაც – რა სათქმელია!

ცოლშვილიანა ვიყავი სოფელში, ივნისის ბოლოა. დარიც მშვენიერი.

ახლომეზობლებმა რომ გაიგეს, გრიგოლიჩს ოტია ბატონი სწვევიაო, დაუძახებლად შემოლაგდნენ ეზოში: დათიკო, კოლია, ვაჟა...

ლიამ და ბიჭებმა სკამები გამოიტანეს სასწრაფოდ ეზოში.

– რა საჭიროა! ამ კოინდარს კაცი სკამებით ჩათელავს?! რავა, მამაპაპურად რომ წამოვწვეთ, დაგვძრახავენ ვითომ? გვერდებსაც გევიგრილებთ და მიწასაც მივუალერსებთ.

ბიზო ზარნაძე

და აი, მოულოდნელად, ხმამაღლა, ყველას რომ გაეგონა, მეუბნება:

– უყურე შენ! რავარი უვარგია ვენახში ბალახს!

სუყველას სიცილი წაგვსკდა, ქალბატონ გალუსტოვასა და ჩემი თხუთმეტი წლის გოგას გარდა. განსაკუთრებით, კოლიამ და ვაჟიკომ იჯერეს გული.

ელდა მეცა. გავშრი. იხტიბარი გამიტყდა. ჩამივარდა ენა მუცელში. არადა, სწორი თქვა – მუხლზეა ბალახი ვენახში!

გოგამ მეტი ვეღარ მოითმინა, მომიწვა გვერდით და ჩუმად მეკითხება:

– რა პონტია, ტო, „უვარგია ვენახში ბალახს?“

სამაგიეროდ, მე ხმამაღლა ავუხსენი:

– ის პონტია, რომ ვენახში ვაზი უნდა ვარგისობდეს, ბალახი კი არა!

„ისეთი რაცხა მითხრა, ბო, დევიშოკე პირდაპირ!“

მაჩაბლის ქუჩას მივუყვებით ოტია და მე. რომ გითხრათ, ტაატით-მეთქი, ვისაც კი ოტიას ენერგიული სიარული უნახავს, არ დამიჯერებს!

რაგინდ მოვინდომო, ერთი ნაბიჯით მაინც მისწრებს!

წამოვეწიეთ ორ გოგონას. ასე, სტუდენტის ასაკისა იქნებოდნენ, ალბათ. ერთი რაღაცას უყვება მეორეს.

– გამასუნელა, ბო, ისეთი რაცხა მითხრა. დევიშოკე პირდაპირ!

ოტიამ უმალვე წააწია:

– კი არ დეიშოკე, შვილო, ზაფრა გეცა, გინდაც – დეიზაფრე. ქართულად ასეა.

– რაიო, ბო, რა გითხრა?! – მეორე ეკითხება პირველს.

– რა ვიცი, მგონი, ზაფრანას ვყიდიო, ქართულიაო, თუ რაცხა...

„რა ზღაპრებს გვიყვება, ვინცხაა, ი მეზღაპრე!“

ზოგიერთი ჭირი მარგებელიაო, უთქვამთ და ვადასტურებ: სწორი ნამყოფარა! ქე ვქოთქოთებ, მთელი ცხოვრება ტყეში ვარ-მეთქი, მარა, ტყეში რო ვარ, მიტომ ასე გვიან მოახწია ჩემამდე ვინცხა უცხოელი მეზღაპრის „თხუნელამ“, ძილში რო თავზე დოუქაქებია რომელიღაც მუდრეგ ცხოველს!

გადარეულა თხუნელა: ჩემთვის მეძინა, არ ვხვრინავდი და არაფერი! რას მერჩოდენ, ვისთვის რა დამიშავებია, თავზე რო დამაიმასქნესო?!

დეიარება საბრალო თხუნელა და ყველა ნადირს ეკითხება, რომელმა მიქენითო!

რა ზღაპრებს გვიყვება, ვინცხაა, ი მეზღაპრე! საწყალ მუდოს (რავარც ღლავი მირჩევნია ლოქოს, ისე მუდო – თხუნელას!), მისი გასაჭირი არ გადადიოდა თაავს, კიდე რომ დოუმატეეს?!

შენ კიდევ, შე ცეცხლმოკიდებულო, რკინის ქალამნებს აცმევ და აღმა-დაღმა აყიალებ, უნდა დავადგინო, ვინ მიქნაო!

ვთქვათ და, დაადგინა! ვის რა ბუს კვერცხებს გამორჩება, ვითომ!

მეინტერესება ნამეტნავად: რას ასწავლის ახლა ეს, უკაცრაული პასუხია, ზღაპარი ჩვენ ბოვშებს? რა, თავზე თუ დაგაიმასქნიენ, რისი სწავლა და რისი გაკვეთილები! რამეფრად მეიძიეთ, ვისი ნამოქმედარია და წიგნებს მერე მიხედეთო?

არა, არა, რაცხა ბლახათ ეიჭრა ეს ქვეყანა!

„პასუხიც ვერ მიგიგიათ საკადრისი, ხომ?“

სიზმრად აღებული ინტერვიუ ოტიასაგან

– ბატონო ოტია, რახანია, არ მინახავხარ. ჟურნალ „ცისკარისათვის“ ორიოდე კითხვას დაგისვამ.

– რავა, აღდგა თუ?

– კაი ხანია, გამოდის ისევ.

– (პირჯვარს იწერს) მარტო ამისთვისაც ღირდა ი კაცის გამოჩენა!

– ნამდვილად!

– მარა, რა შობით მაქანე? ჭაბუა შემხვდა წინეებზე, 17 მაისის ამბებს მიყვებოდა. ვინ დაარბიეს და რატომ დაარბიესო, რაიო?!

– ბეები ცდილობდნენ აღლუმის გამართვას რუსთაველზე.

– ვინ ეშმაკებია ბეები?!

– სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები.

– ანუ?

– არატრადიციული სექსის მიმდევრები.

– ბროკერების და მაკლერების არ იყოს, შენ კიდევ ვერ ისწავლე გასაგებად ლაპარაკი?! გამაგებიე, რას ამბობ?

– აი ცისფერებს რომ ეძახიან, რა!

– კაი გამახსენე! ცისფერი რომელს ქვია, რომელიც გადედლებულია და წაკუზული, ხო?

– ასე ვთქვათ.

– მარა, ის შობელძაღლი წამკუზველი რაფერისაა?! ჰოდა, რაიო, რა გვინდებიანო?!

– ჩვენს უფლებებს რატომ არღვევთო! ჩვენც ხალხნი ვართო!

– და თავზე ქუდი გვახურავსო? ამრეზილად ნუ გვიყურებთო?

– აბა რა!

– ვაი შენ, ჩემო თავო! კი მარა, რამდენჯერ უნდა ვიყბედო მაგისთანების გასაგონად: თუ ღმერთი გაგწყრომიათ და მიურთმეველს გათქვლეფინებთ, სადმე მოფარებულში მაინც თქვლიფეთ თქვენთვის, ვინ გიშლით? მარა, მზეზე ნუ გამოეფშკირები და პატიოსან ხალხს ნუ მიბრიყვებ: იფ, იფ, რა გემრიელიაო!!! ერთი ესეც მითხარი, პოლიცია მღვდლებს რას ერჩოდა?!

– ვერ გეტყვი. ისინი უბრალოდ ცოდვის შვილებს მოუწოდებდნენ, რომ დაშლილიყვნენ, რათა მსხვერპლი არ ყოფილიყო.

– ერთი მღვდელი ქეც დაუპატიმრებიათ, მგონი.

– კი, დაიჭირეს.
– რისთვისო, სოდომ-გომორის ცოდვის მიმდევრებს რატომ კიცხავდიო?!
– დიახ და თან ხელში ტაბურეტი რატომ გეკავაო.
– კაცს შეიძლება ხელში ბევრი რამ ეკავოს, მარა, გააჩნია, რა მიზნით უკავია! ურტყამდა ვინმეს?
– არა, აჰ!
– მერე, მერე...
– მოცვივდნენ „ნაცები“ და, რა თქმა უნდა, იმათი მხარე დაიჭირეს, გეების! საზოგადოებას და სასულიერო პირებს შეუტიეს, ფაშისტები ხართო! განსაკუთრებით, ჩიორა და რატიანი გამოირჩეოდნენ.
– ჩიორას რატომ ეძახიენ, ჩიტიძეა?
– არა, ქალია, პარლამენტარი.
– ნამეტანი პატარა და ფიორაა?
– ისე რა.
– ჰოდა, რატომ ხართ ფაშისტებიო?
– ეშმაკმა იცის მაგენის თავი!
– და პასუხიც ვერ მიგიგიათ საკადრისი, ხომ? ი ლევანიე რომ გყავთ პარლამენტში, ბერძენიშვილი, ენა მაგას არ უგვალავს და არაფერი, ვერ გასცა სათანადო პასუხი?! მე მაგასავით არა მაქვს ფილოსოფიური თხზულებები დაზუთხული, მარა ძაან ზუსტად ვიცი ფაშისტების უსტაბაშის, ადოლფ ჰიტლერის დევიზი: „მე გავათავისუფლებ კაცობრიობას იმ ქიმერისაგან, როგორიცაა მორალი!“
სხვათა შორის, მორალი უცხოური სიტყვაა და ჩვენებურად ზნეობას ნიშნავს ანუ სინდისსა და ნამუსს.
საზოგადოება და სამღვდელოება იმით იყვნენ აღშფოთებულნი, რომ „ისინი“ განასახიერებდნენ უსინდისობასა და უნამუსოებას, ანუ ფაშისტურ იდეალს – ამორალურობას – უკმევდნენ საკმეველს და, პირიქით, აქეთ გეძახდნენ, ფაშისტები ხართო?!
– სწორედ აგრე იყო.
– დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი!
არ უნდა მაგას ამდენი ლარი და ხაზი: ადამიანს ცხოველისაგან, აზროვნების უნარის გარდა, მორალური, ზნეობრივი თვისებები განასხვავებს!
ვინც მორალს უარყოფს, ის, ლოგიკურად ცხოველია! ყოველ შემთხვევაში, ფაშისტია!
ფაშისტურ იდეოლოგიას კი, მოგეხსენება, ერთხელ და სამუდამოდ აქვს განაჩენი გამოტანილი!
მაგენი იმდენს იზ...
სწორედ ამ ადგილას გამომეღვიძა.
ვინ იცის, კიდევ რის თქმას აპირებდა ის ცხონებული!

გიზო ზარნაძე.

ბელა დურგლიშვილისა და ჟაბუკა დეისაძის შარჟები.

„გეპეის“ ორკესტრი – 80

ვარსკვლავი ვარსკვლავებს

23 ივნისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში „გეპეის“ ორკესტრის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი გაიმართა. ფილარმონიის წინ გაიხსნა ორკესტრის სახელობითი ვარსკვლავი. აღსანიშნავია, რომ კონცერტიდან შემოსული თანხები თბილისის სტიქიით დაზარალებულთ გადაერიცხება. საღამოს უძღვებოდა ირმა სოხაძე, რომელსაც ორკესტრთან ბავშვობა აკავშირებს, სწორედ ამ ორკესტრის წინაშე შესდგა პატარა ირმას საკონცერტო დებიუტი. დამსწრეები კიდევ ერთხელ დატკბნენ საყვარელი მელოდიებით. მსმენელთა წინაშე წარსდგნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ჩვენი საზოგადოების კულტურის ცნობადი სახეები გია ჭირაქაძე, ჯემალ ბაღაშვილი, ვახტანგ ტატიშვილი, ჯემალ სეფიაშვილი. საღამოს ასევე ამშვენებდნენ „ცისფერი ტრიო“, ნიკო ლეკიშვილი, მარსელ კაპანაძე, ახალგაზრდა თაობა ქეთი ორჯონიკიძე, ჯაზური სიმღერების ოსტატი, არქიტექტორი მაია ბარათაშვილი. დიდი სიყვარულით მოეფერნენ დარბაზში მყოფ ჯანო ბაგრატიონს, მერაბ მახარაძეს, ივიკო საყვარელიძეს, თამაზ ცინცაძეს, გურამ ბაკურაძეს.

გაიხსენეს კონსტანტინე პევზნერი, გურამ ბზვანელი, იოსებ ტუღუში, იოსებ ბუაჩიძე. სხვათა შორის, ამ დღეს ორკესტრს მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელის იოსებ ტუღუშის სახელი მიენიჭა.
მართლაც დასაფასებელია ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელის, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილის ძალისხმევა, რომლის დიდი დამსახურებაა ამ კოლექტივის აღორძინება და ხელშეწყობა ქართული კულტურისა და საზოგადოების წინაშე.

მალხაზ დოლიძე,
ტექ. მეც. დოქტორი

მისი სამშობლო აფხაზეთია

გაგრატ გადიდის პოეტური კრებული „მონატრება“ (2015) აფხაზეთის მწარ-ტკბილ თემას ეძღვნება.
გადიდი მეგრული ეთნოლოგიით „ბებერს“ ნიშნავს, მაგრამ არა მარტო და არაიმდენად „მოხუცს“, „ხანდაზმულს“, არამედ „ძველს“, „გამოცდილს“, „გამობრძმედილს“, თუმცა ჩვენი ავტორი ასაკითაც სოლიდურია – სამოცდამეათე არც ისე შორს არის!
ეს ცხოვრებით დაღვინებული, უღალატო და უშურველი პიროვნება, ლექსის ცნობილი ოსტატია. ოსტატია არა მარტო რითმათა „მეურნეობის“ გამართვისა, არამედ საპოეზიო ნიუანსების ზედმიწევნით გამოსახვაშიც. რუსთველს რომ უწერია, სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისაო, - ეს სწორედ ბაგრატის ტაეპზე ითქმის!
და ეგ ამბავი მე ადრეც აღმინიშნავს.
ამთავითვე ითქვას:
ქართული ლექსი ურითმობას ნაკლებად ეგუება, ამას გრძნობს ჩვენი ავტორი. ამიტომაც თუა, რომ ამ მხრივ ყური მეტად გაფაქიზებული აქვს. მისი რითმის თავისებურებაზე „აფხაზეთის ხმა“ წერდა: ბაგრატის „რითმა, რომელიც ლექსის აუცილებელ კომპონენტადაა მიჩნეული, შეუცვლელია... იგი განუყოფელი ნაწილია მთლიანი სიტყვიერი ქსოვილისა. მრავალი მათგანი უზადო ბრილიანტივით, ანუ „პარანგონივით“ „ასხივებს“.



დღეს, როცა ურითმო ლექსმა ყველაფერი წალეკა, რითმას ზოგი ტექნიკურ საშუალებად მიიჩნევს, თუმცაღა იყო დრო, როდესაც „რითმის დიდოსტატებს“ საგანგებოდ გამოარჩევდნენ. ასეთად მიიჩნეოდა ვალერიან გაფრინდაშვილი; შეუდარებელი გახლდათ გრანელის, ტაბიძის, გრიშაშვილის რითმული მიგნებები. ბაგრატ ბადიდის ეს მძლავრი სალექსო საშუალებაც ამ კონტექსტშია განსახილველი.
ლაკონიზმი, მოზომილი მეტყველება და შეუბორკავი მხატვრული საშუალებანი – აი, რითი გამოირჩევა მისი ბევრი შენათხზი. საგულისხმოა, რომ იგი ცდილობს, უფრო რთული რითმული ხელოვნება მოიმარჯვოს (ჯვარედინი რითმა), რადგან ინტერვალიანი ან მოსაზღვრე შერითმვა უფრო იოლი საქმეა და ამიტომაც – ნაკლებღირებული!
მაგრამ მთავარი მაინც მარადიული სატკივარია. ის გამხელილია ორტაეპედში:

ისევ გაჰყვება ქარი ლიანდაგს,
მე კი შინ ჩასვლა დამაგვიანდა! (10)

დიახ, მწარ-ტკბილია ეს ამოძახილი.
მაგრამ ამოძახილი ამოძახილად, ოღონდ ხელოვნება, ოსტატობა? ამის მაცნეა პირველივე ქმნილება („როცა ჩვენს ტურფა სამშობლოს“).
ეს ქმნილება ნებისმიერ ანთოლოგიას დაამშვენებდა!
აი რა ლაღად არის გაშლილი საუბარი ქართველ-აფხაზთა ერთობისა და მთლიანობის შეგრძნებაზე:

როცა ჩვენს ტურფა სამშობლოს გადამთიელი
გვართმევდა,
უხმობდა ხოლმე ქუდზე კაცს – მეფე აფხაზთა,
ქართველთა.

აქ ყოველი ფრაზა საოცრად მსუბუქია, ყოველი აზრობრივი მოსაქცევი იოლად ლავირებს; აქ შინაარსი ფორმას იწვევს სამასლაათოდ და ფორმა-შინაარსს:

თუმცა უთვალავ ბრძოლაში მტრისგან
მრავალნი მოისრნენ,
ჩვენს მეფეს მუდამ იცავდა მისი აფხაზი მოისრე.

ავტორი არ ივიწყებს კავშირს ხალხურ მოტივებთან. ხალხური ჰანგით არის გალიცლიცებული ერთსტროფედი:

მზე ამოვა მალე ჩვენთვის
და ყველანი გავიხარებთ,
გაბრწყინდება აფხაზეთი,
დაეხსნება გველსა მთვარე.

და რუსთველის ბახჩიდან გადმონერგილი მთვარისა და გველის მეტაფორა ისევ გველის, რათა მასში დავანებული ღრმა აზრი გავაცნობიეროთ.
მხატვრულად ღირებული სახეები საკმარისზე მეტია, აი თუნდაც ასეთი:

ბომბოქრობს ხალხი. და კავკასია
დღეს დენთით სავსე დიდი კასრია! (15)

ავტორს ძალუძს, ხალხურობის დონეზე აიყვანოს საუბარი მკითხველთან, სადა და უბრალო მეტყველება იოლად იპყრობს მკითხველის გულს:

აფხაზს უნდა: აფხაზეთი იყოს „მისი“;
აფხაზს სჯერა: რომ ეგ მიწა მისია.
სად მოვნახოთ ჯეროვანი კომპრომისი,
სულ თუ ჩვენ ვთმობთ, ეს რა კომპრომისია? (14)

„ლექსი – ბალადა“ უნდა ვუწოდოთ ერთ უსათაუროს, სადაც მოულოდნელი და ბალადური ელემენტი ერთობ ბევრია, თანაც ოსტატურად გამოკვეთილი:

ერთმანეთი უყვარდათ
არზაყანს და ასიდას;
დღეს მათ ვინ მოიგონებს –
ნუთუ ერთი ასიდან?
სიყვარულმა არზაყანს
გული აუძგერა და
ცხელმა ტყვიამ ძირს დასცა
სადღაც, აგუძერასთან!

მკითხველი იოლად დამემოწმება: ოსტატური კალმის მონასმია და „გულიდან ხორცად ამონატანი“ სიტყვები:

ოჰ, ჩემს სატანჯველს არა აქვს
ბოლო,
გამოვიარე რა გზა, რა ჭირი;
მე სამშობლოში ვარ უსამშობლო,
ჩემს სამშობლოში ვარ მუჰაჯირი... (53)

ყოველ ქართველს გულზე ეკლად და მალამოდ მოხვდება სტრიქონები, რომლებიც ქსოვენ ლექსს „მე აფხაზეთი არ დამკარგვია“. ყველა ტაეპი, სტროფი აქ ლამაზია, ღრმააზროვანია. მე მაინც ბოლო აკორდს მივესათუთები:

მე დავბრუნდები გულის ფანცქალით,
მე აფხაზეთი არ დამკარგვია...
და დამაქვს, როგორც მძიმე საგზალი,
ეს მონატრება, ეს ნოსტალგია. (25)

მრავალ საფიქრალს აღძრავს ვრცელი ლექსი „უსათაურო“. ეს ლექსი გაანალიზებაა ყველაფერ იმის, რაც მოხდა და თავისებური „ვერსიაც“ გახლავთ „გვირაბიდან“ თავის დაღწევისა. ამ კონტექსტში განვიხილავ მე შესანიშნავ, მართლაც, რომ „ღრმა პოეტური შთაგონებით“ აღსავსე მინი-პოემას „ამ უსაშველო გვირაბის ბოლოს“.
მხატვრული დონითაც და აფხაზურ-ქართულ ურთიერთობათა კონტექსტშიც, დაუვიწყარია „უცნაური ბალადა“. რომელი ერთი ჩამოვთვალო.
გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატის ზოგი ლექსი კლასიკურ დონეს აღწევს. საგულისხმიეროა პოემა-ქრონიკა „აფხაზეთი გველოდება, ისააკ“. აქ არაერთი მეტად მომხიბლავი სტროფია. კლასიკური სიცხადით გამოირჩევა ეს ამონარიდი:

პოეტისთვის უმთავრესი
ჩანგია და კალამია.
უხდებოდა სოხუმს ლექსი,
ლექსს კი – რენე კალანდია.

ყველა ფიქრმრავალი დევნილის გულს მოხვდება ავტორის მიერ ფორმულად ჩამოყალიბებული აზრი, რომელშიც შეკუმშულია ჩვენი სათქმელი და საგრძნობელი:

მე დავიბადე იქ, აფხაზეთში,
რომ ოცნებებით ღამე მეთია;
მე საქართველოს შვილი ვარ, მაგრამ
ჩემი სამშობლო აფხაზეთია!

ამგვარი განცდა არის ის ოქროს გასაღები, რომელიც გაგვაღებინებს ჩვენთვის მოაქუამადე დაგმანულ კარებს.
ღირსეული კაცის – ბაგრატ ბადიდის – „მონატრება“ იდეური და მხატვრული ღირსებებით უხვად დაჯილდოებული წიგნია და მას შეიყვარებს ყველა, ვინც კი წაიკითხავს.

მურმან თავდიშვილი

◎ სიკეთე არ იკარგება

გზა სამოთხისკენ...

სამყაროს შეცვლიდან გავლილმა, მძიმე და ტკივილიანმა ორმოცმა დღემ ერთხელ კიდევ შეგვახსენა, რომ წუთისოფელში ყველაფერი წარმავალია! და რომ უმთავრესია სიკეთის კეთება. ამ რწმენით ღირსეულად განვლო არცთუ ისე ხანგრძლივი ცხოვრების გზა ანა ალექსანდრეს ასულმა კახნიაშვილმა.

მიუხედავად ბედის ბორბლის წაღმა-უკუღმა ტრიალისა, ვერაფერს აკლებს და კიდევ უფრო მეტად ასხივოსნებს იმ სიკეთით სავსე კვალს, რომელიც რჩება და განაგრძობს სიცოცხლეს იმათ გულებში, ვისაც უყვართ და მოწიწებით პატივს მიაგებენ ქალბატონ ანას ხსოვნას! ასეთები კი უამრავია, ვინც მას იცნობდა და ვისაც მის პროფესიონალიზმთან ჰქონია შეხება.

ქალბატონი ანას ცხოვრებისეული ბიოგრაფიის ნათელი და ლამაზი ფურცლები საამაყოა არა მარტო მისი შთამომავლობისა და ახლობლებისთვის, არამედ მთელი მისი თაობისთვის.

მას ბავშვობიდან ექიმის პროფესია იზიდავდა, ამიტომ საშუალო სკოლის მედალზე დამთავრების შემდეგ, სამედიცინო ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩარიცხული, ასევე წარჩინებით ამთავრებს სამკურნალო ფაკულტეტს და განაწილებით ქ. რუსთავის სამშობიარო სახლში იწყებს მუშაობას. ამავე პერიოდს უკავშირდება დაოჯახება, ასევე შემდგომში წარმატებულ პიროვნებასთან — ფიზიკა-მათემატიკის აღიარებულ პროფესიონალ არჩილ პაპიაშვილთან; მათ ერთობლივი ძალისხმევით შექმნეს ტრადიციებზე დაფუძნებული სანიმუშო ოჯახი — აღზარდეს და დაავალიანეს ქალ-ვაჟი მანანა და გურამი, ორივე ექიმი, რომლებიც მიუყვებიან ცხოვრების აღმართს მშობლების კვალდაკვალ, ერთი ქირურგიაში, მეორე — ნევროლოგიაში.

ქალბატონ ანას კარგად ჰქონდა აღქმული დროის ფასი და ამდენად ყველა მიმართულებით შესაბამისად განაწილებულიც, იგი მოკლე დროში ლენინგრადში ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ორდინატურაში აგრძელებს სწავლას, რომლის დამთავრების შემდეგ უბრუნდება სამსახურს ახალი შემართებით, სადაც არ იშურებს ძალ-ღონეს პროფესიაში დასაოსტატებლად, ინოვაციებით ხვეწს შესაძლებლობებს და შედეგად წარმატებული ექიმის სახელი განიმტკიცა კოლეგებსა და პაციენტებს შორის.

დროთა განმავლობაში მუშაობას განაგრძობს თბილისის სხვადასხვა რაიონში ქალთა კონსულტაციებში გინეკოლოგად, შემდეგში მუშაობის გამოცდილების საფუძველზე ინიშნება ნაძალადევის (იმხანად ლენინის) რაიონის მთავარ ონკო-გინეკოლოგის თანამდებობაზე, სადაც იმოღვაწა ათი წელი.

მადლიერი კოლეგებისა და პაციენტების გარემოცვაში, შრომისა და ძიების გავლილ წლებს უკვალოდ არ ჩაუვლია. კერძოდ, იგი ხშირად მონაწილეობდა გამართულ კონფერენციებსა და ფორუმებში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, სადაც მის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციებში, სიტყვით გამოსვლისას, მკაფიოდ ჩანდა ის სიახლე მეთოდებისა, პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით, რაც ჯანმრთელობის სფეროს სჭირდებოდა. ამაზე მეტყველებს მისი სადისერტაციო ნაშრომიც.

მაგრამ ვაგლახ, რომ საწუთრო დიდხანს არ ანებივრებს მოკვდავთ, არც ანას დაჰკლებია მსახვრალი ხელი — ქვეყანაში დატრიალებული კატაკლიზმებით გამოწვეულმა ტრაგედიებმა შეიწირა არაერთი ახლობლის სიცოცხლე, რასაც ვერ გაუძლო მისი მეუღლის — სულგანათლებული დიდებული ქართველის, ბ-ნი არჩილის ფაქიზმა გულმა და უდროოდ გამოაკლდა სამზეოს. იგი იყო განათლების წარჩინებული მუშაკი, ახალგაზრდების დაუზარელი მრჩეველი, კაცობის მაგალითი.

დაქვრივებით მიღებული ჭრილობა ანასთვის არ ყოფილა ადვილი, მაგრამ გულიდან ამოსული რამდენიმე სიტყვით, გულწრფელად გამოხატავდა ტკივილს, რომელიც იყო იმედის მომცემი, საკუთარ ძალებში დარწმუნებისა, რითაც თანამოსაუბრეებს უმსუბუქებდა ცხოვრების ეკლიან გზაზე გავლას; ამის უნარი კი ღვთით ჰქონდა მომადლებული, რასაც სრულყოფდა მისი ნიჭიერება, ტაქტი, მიმტევებლობა, უშუალობა, შეუმცდარი ალღო და, რაც მთავარია, სხვათა მიმართ სიკეთის ქმნის დიდი სურვილი...

სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან დადებით კვალს ტოვებდა უამრავი განკურნებული პაციენტის გარემოცვაში.

მშობლებიდან გამოყოლილი უშურველი ქველმოქმედების წყალობით, უპოვართა მფარველობას არ ერიდებოდა, ახლობელი ახალგაზრდების დაკვალიანებაში აქტიურად მონაწილეობდა, მოხუცების მიმართ პატივისცემის გამოხატვას და მოკითხვას თავის ცხოვრების ნაწილად მიიჩნევდა; გაღებული სიკეთის სანაცვლოდ მიღებული მადლიერებაც ახალისებდა, მაგრამ სულში შერჩენილი სიმძიმე — მეუღლის უდროოდ დაკარგვა, არაერთი ახლობლის ტრაგიკული ბედი არ ასვენებდა. ამას ემატებოდა ქვეყანაში არასტაბილური მდგომარეობა, ეკონომიკური გაჭირვება, უმუშევრობა, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ბედი, დაკარგული აფხაზეთი, წართმეული შიდა ქართლის ულამაზესი კუთხე, მშობლიური „სამაჩაბლო“. თავის გადასარჩენად ქვეყნიდან გასული ქართული გენი და ინტელექტი, პატარების მომავალზე ფიქრი და კიდევ ბევრი რამ, დღენიადაგ არ ასვენებდა და საფიქრალი ხშირად ქაღალდზე გადაჰქონდა ლექსებად, მოთხრობებად. აქედან ჩანს, რომ წარსულის მოგონებებში ჩაძირული მომავალზე მოფიქრალი იმედით საზრდოობდა.

ბუნებით მოკრძალებულმა პიროვნებამ, მოძალებულ პრობლემებს რომ ვეღარ გაუძლო, ჯანმრთელობა შეერყა, რასაც არ იმჩნევდა და შინაგანი ძალების დახმარებით ებრძოდა. არ უყვარდა სატკივარზე წუხილი, დღენიადაგ ონკოლოგიაში სხვების მკურნალი თავად გახდა სამკურნალო.

მიუხედავად იმისა, რომ არ მოკლებია პროფესიონალი კოლეგების ყურადღება როგორც თბილისის, ასევე სანკტ-პეტერბურგის საუკეთესო კლინიკებში, ბოლო დღემდე ებრძოდა მოძალებულ დაავადებას, რომელმაც ვერ შეცვალა მისი ცხოვრების წესი.

საქმე ის არის, რომ მის ქცევას შინაგანად იმედი განაგებდა, როგორც სჩვევიათ სულით ძლიერ ადამიანებს, მაგრამ პერიოდულად გაუსაძლის ტკივილთან ჭიდილს გულმა ვერ გაუძლო, განერიდა სამყაროს და უსასრულობაში გადაინაცვლა...

ისღა დაგვრჩენია, პატივი მივაგოთ მის ლამაზ სიცოცხლეს — იძინე მშვიდად, ჩვენო სახელოვანო და სულგრძელო, უკვდავქმნილო დაიკო ანა! ამქვეყნად დათესილი სიკეთე და გაწეული ქველმოქმედება სამოთხისკენ სავალ გზას გაგინათებს, სულს გაგინათლებს და შენთვის დანთებული სანთელი არ ჩაქრება!

გემშვიდობებით სამუდამოდ, საერთო გულისტკივილის გამომხატველი სიტყვებით:

„წავიდა ჩვენგან დიდი ბუნების
ლამაზი სულის ადამიანი!“

ახლობლებისა და მეგობრების სახელით
ზორენა ჟუჟუნაშვილი

დედამიწის ზურგზე

რუსეთმა მარტში სწავლებაზე დაამუშავა დანიის, ნორვეგიის, შვედეთისა და ფინეთის ხელში ჩაგდების გეგმა

ექსპერტი ედვარდ ლუკასი თავის მოხსენებაში ამტკიცებს, რომ რუსეთის ჯარები ამუშავებდნენ ამოცანებს კონკრეტულ რეგიონებზე კონტროლისათვის: ეს რეგიონები ეკუთვნის ფინეთის ალანდის კუნძულებს, შვედეთის ჰოტლანდის კუნძულს, დანიის ბორნჰოლმს, აგრეთვე ჩრდილოეთ ნორვეგიას.

პენტაგონმა დაგმო რუსეთი „ცეცხლთან თამაშისათვის“ კრემლის განცხადებების გამო რუსეთის ფედერაციის ბირთვული პოტენციალის შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროში მიაჩნიათ, რომ მოსკოვის ბირთვული რიტორიკა ხელს უწყობს მხოლოდ კონფლიქტის ესკალაციას, ამავე დროს ხელს უწყობს ნატოს მოკავშირეების დაახლოებას. რუსეთის სტრატეგიას პენტაგონში უწოდეს „ესკალაცია დეესკალაციისათვის“. ამას გარდა სამხედრო უწყების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ მიანიჭებს რუსეთის ფედერაციას უპირატესობას ბირთვული ძალების გაძლიერებაში.

ალასკის სამხრეთში ტურისტული თვითმფრინავი კლდეს შეეჯახა. დაიღუპა 10 კაცი

ავიაკატასტროფა ქალაქ კატჩიკანის რაიონში მოხდა. თვითმფრინავს იყენებდნენ ტურისტული შემოფრენებისათვის ნახევარკუნძულის ამ ნაწილზე. ავარიის მიზეზი დადგენილი არ არის. არ არის გამორიცხული, რომ ტრაგედია არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო მოხდა: კატასტროფის რაიონში იყო მოღრუბლული დარი, უბერავდა ძლიერი ქარი.

გედის თანავარსკვლავედში პირველად 26 წლის განმავლობაში შავმა ხვრელმა - მონსტრმა გაიღვიძა

ასტროფიზიკოსებმა აღნუსხეს ჩვენს გალაქტიკაში აქტიური შავი ხვრელების არაჩვეულებრივი აფეთქებანი: მისი სიმკვეთრე სწრაფად იცვლება რამდენიმე სიდიდეზე საათის ან რამდენიმე წუთის განმავლობაშიც კი. ორმაგი სისტემა შედგება შავი ხვრელისა და ვარსკვლავებისგან, რომლებიც ერთი-მეორის გარშემო ბრუნავენ, ამ დროს შავი ხვრელი მუდმივად ყლაპავს ვარსკვლავს.

◎ კაკალ გულში

ნეტარიანი ოჯახები

● **ტუის, ეკა კახიანს და მათნაირებს „რუსთავი 2“-ზე რომ ვხედავ, ერთი რასისტული ანეკდოტი მახსენდება:**

— ზანგი ზის ავტობუსში და კითხულობს ებრაულ გაზეთს. მიდის თავგადაპარსული სკინხედი და ძაააალიან ზრდილობიანად ეკითხება: — ბატონო ჩემო, თქვენ არ გყოფნით, რომ ზანგი ხართ?

● **დაანებეთ ამ ბანკებს თავი, თორემ მოუმატებენ დასახმარებელ თანხას ერთ 20 ლარს და მერე პროცენტებს გაზრდიან.**

● **„რუსთავი 2“-ის განცხადებით, „ქართუს“ გადარიცხული თანხა ანგარიშზე „უშნოდ“ დაჯდა.**

● **ცხოვრებაში ორადორი არამთლიანი არსება მყავს ნანახი. ერთი ტომი ჯერის ზანგი ბებო — მარტო ჩუსტები და ერთმანეთზე გადაცმული კაბები როა და მეორე გოგორიშვილი — მარტო თავი.**

● **ეს გიორგი აბაშიშვილი ვინაა, — ვანო მაჭავარიანის რეინკარნაციაა? რა უნდა, რას გვერჩის, რა დავუშავეთ და წვერს რატომ არ იპარსავს, — გლოვობს ვისმე?**

● **აშუშუს ვთხოვოთ, გვიშველისო, — სასაცილოა!..**

შენი ირაკლი იმათ ბარაკს ფეხზე ჰკიდია.

● **მღელვარება სასომხეთში ქართველი პინგვინების მიერ აზერბაიჯანის საზღვრის გადაკვეთამ გამოიწვია.**

● **ხალხო, სულ წინ -წინ რომ მიდიხართ, იქნება მარჯვნივაა ეს ნატო ან მარცხნივ. ვახ!**

● **ამ ამინდზე ამდენი ხალხი უკმაყოფილებას რო გამოთქვამს, ზოგი — აუ, რა ცხელა,ზოგი — ვაიმე, როგორ წვიმს, ქარის დედა ვატირე, ნეტა გათოვდეს, აუ რას ყინავს და ა.შ.. გადაირია ეს ამინდიც, რა ქნას აღარ იცის და შეეშვით რა!.თავის საქმე თვითონ იცის...**

● **„სმარტს ხელფასიდან“ ნ-ნ ლარი ჩამოუწერია თანამშრომლებისთვის დაზარალებულთა ფონდში გადასარიცხად....**

● **მიშას დროს ზაფხული ამდენს ვერ ბედავდა... ეგაა თქვენი დემოკრატია!**

● **ისა და კობა ნაყოფიამ რა დედიმისის ჩარიცხა დაზარალებულებისთვის, ღნაცისტანს ხომ არ იცით?**

თუ ეგ მარტო ჰოლივუდს აფინანსებს? ტიგრ გალსკი!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

დანართი №1 (2 ფურცელი) დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2015 წლის „26 ივნისის“
№ ს-297 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება". მე-IV უბანი (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 30 000 m^3)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	5 218 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	521.8 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	3 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 30 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 03 აგვისტოს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 03 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 03 აგვისტოს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დანართი №1 (2 ფურცელი) დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2015 წლის „26 ივნისის“
№ ს-298 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება". მე-V უბანი (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 30 000 m^3)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	5 218 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	521.8 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	3 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 30 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 03 აგვისტოს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 03 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 03 აგვისტოს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

დანართი №1 (2 ფურცელი) დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2015 წლის „26 ივნისის“
№ ს-299 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფ. დოლოგანის მიმდებარე ტერიტორია, „მდ. აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება". მე-VI უბანი (კატეგორია-P, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 30 000 m^3)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. დოლოგანი.
7	აუქციონის საწყისი ფასი	5 218 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	521.8 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	3 200 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 30 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 03 აგვისტოს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 03 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 03 აგვისტოს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

◎ ვაი, სირცხვილო!

უეფას გადაწყვეტილების მოლოდინში

უეფას ევროპის 2015 წლის სუპერთასის ბილეთების გაყიდვასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული ჯერ კიდევ არაა. ამ დროისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა.

როგორც ცნობილია, სფფ უეფას სპეციალურ გეგმას გადაუგზავნის და ამის შემდგომ გახდება საბოლოო ვერდიქტი ცნობილი. ჯერ-ჯერობით გარკვეული მხოლოდ ისაა, რომ ქართველი და უცხოელი გულშემატკივრებისთვის ბილეთები ცალ-ცალკე გაიყიდება.

საქართველოსთვის 24 ათასი ბილეთია გამოყოფილი, რომელთაგანაც დღეისთვის მხოლოდ 54-ია გაყიდული.

მართლაც რომ ქართული ამბავია — „ბარსელონა“ — „სევილიის“ სპექტაკლამდე თვენახევრით ადრე ბილეთების გაყიდვა დომხალში გადაიზარდა. ესღა გვაკლდა — ისე ხომ ყველაფერში სამაგალითონი ვართ. ვინ იცის, როგორ ნანობს უეფა, ასეთი ნდობა რომ გამოგვიცხადა...

კობა კობახიძე

◎ ვითომ?

მილინკოვიჩი: „დილას“ თამაშში რუსული საფეხბურთო სკოლის გავლენა იგრძნობა“

ბელგრადის „პარტიზანის“ მთავარმა მწვრთნელმა ზორან მილინკოვიჩმა სერბულ „ზლატიბორთან“ მოგებული ამხანაგური მატჩის შემდეგ (4:0) განაცხადა, რომ გორის „დილას“ სამი მატჩის ვიდეოჩანაწერი გუნდმა უკვე ნახა და მომავალ მეტოქეზე გარკვეული შთაბეჭდილება შეექმნა.

„დილას“ სამი მატჩი ვიხილეთ და გამოჩნდა, რომ მეტოქე კარგად ორგანიზებული გუნდია და მის თამაშში რუსული საფეხბურთო სკოლის გავლენა იგრძნობა. „დილა“ სწრაფი გუნდია და ფიზიკურად კარგად გამოიყურება. არ ვიცი პირველი მატჩის სახლში გამართვა რამდენად უპირატეს მდგომარეობაში ჩაგვაყენებს, მაგრამ ერთი რამ ვიცი, „პარტიზანი“ ნებისმიერ შეხვედრაში კარგად უნდა გამოიყურებოდეს.“ — ციტირებს სერბი სპეციალისტის სიტყვებს mozzartsport.com.

„პარტიზანი“ ხვალ ამხანაგურ შეხვედრას რუსულ „მორდოვიასთან“ ჩაატარებს, შემდეგ სლოვენიაში გაემგზავრება, სადაც სამ ტესტმატჩს მოაწყობს, პირველი მეტოქე კი „რუდარი“ იქნება.

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს „დილა“ „პარტიზან სთედიუმზე“ 14 ივლისს გამართავს.

გიორგი ზოთაძე

◎ ჩოგბურთი

ორნი — წყვილთა ნახევარფინალში

შვედეთის ქალაქ ჰელსინგბორგში მიმდინარე 25-ათასიანი ტურნირის წყვილთა ბადის ნახევარფინალში 2 ქართველი ჩოგბურთელი — ეკატერინე გორგოძე და სოფო ქვაცაბაია ითამაშებს.

პირველ ნომრად განთესილმა გორგოძემ და შვედმა კორნელი ლისტერმა შემდეგ ეტაპზე უბრძოლველად გააღწიეს, რადგანაც მათი მეტოქეები — სლოვაკი ჰონჩოვა და ხორვატი ნირიჩი სათამაშოდ არ გამოცხადდნენ.

ნახევარფინალში გორგოძე და ლისტერი მე-3 ნომრად მიჩნეულ ქვაცაბაიას და ბერძენ ელენი დანილიდუს გაეჯიბრებიან, რომელთაც პოლონელ ბარანსკას და ბელგიელ ბოევს 6:1, 6:0 სძლიეს.

ერთეულთა ტურნირის მერვედფინალში ქვაცაბაია შვედ სოფია არვიდსონს ვერ გაუმკლავდა — 4:6, 2:6.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ერთადერთი და განუმეორებელი



ბურთს კალათისკენ მისი გულიც მიჰყვებოდა

ჟენევა. 1962 წლის 29 ივნისი.

დაუვიწყარი დღე ქართული სპორტის ისტორიაში — თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა 53 წლის წინათ მადრიდის „რეალი“ დაამარცხეს 90:83 და ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვეს.

ამ ისტორიულ გამარჯვებამდე ქართველმა კალათბურთელებმა (გურამ მინაშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ლევან მოსეშვილი, ლევან ინწკირველი, ვალერი ალთაბაევი, ამირან სხიერელი, ილარიონ ხაზარაძე, ალექსანდრე კილაძე, ანზორ ლეჟავა, რეზო გოგელია, ალექსანდრ პეტროვი) ოთარ ქორქიას ხელმძღვანელობით ჯერ რუმინეთის „დინამოს“ სძლიეს (77:76, 82:77), მერე — თურქეთის „დარუშაფაკს“ (80:67, 84:49), ხოლო ნახევარფინალში ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი ცსკა ჩამოიშორეს გზიდან (75:71, 74:66). ჩვენებს გადამწყვეტ პაექრობაში მადრიდელებთანაც ორი მატჩი უნდა ეთამაშათ, მაგრამ პირენეელთა მმართველმა ფრანკომ სამეფო კლუბს საბჭოთა კავშირში ჩასვლის უფლება არ მისცა და დინამოელთა მასპინძლობაზეც უარი თქვა, ამიტომ ორთაბრძოლა ნეიტრალურ მოედანზე გაიმართა და, როგორც აღვნიშნეთ, ქართველთა გამარჯვებით დასრულდა.

მეტოქეებთან გამართულ შეხვედრებში „დინამოს“ დირიჟორი გახლდათ გურამ მინაშვილი, გუნდის სული და გული, მისი შემკვრელი და ორგანიზატორი, თანამემამულეთაგან ერთადერთი და დღემდე განუმეორებელი კაპიტანი, რომელსაც ევროპის ჩემპიონთა თასი აღუმართავს.

ზუსტი და დროული გადაცემებით იგი ფართო სამოქმედო ასპარეზს უხსნიდა თანაგუნდელებს. საკუთარი, ყველასგან გამორჩეული ხელწერისა და მანერის მქონე სპორტსმენის ვირტუოზული თამაშით მოხიბლული მაყურებელი აღტაცებას ვერ ფარავდა და გასახდელისკენ მიმავალს ტაშით მიაცილებდა. 1953 წელს მიიწვიეს თბილისის „დინამოში“. მომდევნო წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, 1957 წელს კი პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი. მერე კიდევ ორჯერ (1959, 1963) დაიმსახურა ეს ტიტული.

ბატონ გურამთან ხშირად მისაუბრია. 1959 წელი ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოო, უთქვამს. სახეგაბადრული იხსენებდა იმ წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ეპიზოდებს, განსაკუთრებით ბალტიისპირელებთან მატჩს — სამმა ქართველმა ხუთ ლატვიელ კალათბურთელს რომ აჯობა. 1959 წელს საბჭოთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში გურამ მინაშვილი და გურამ აბაშიძეც გამოდიოდნენ, სანტიაგოში მსოფლიოს ჩემპიონატზე ამერიკელებიც კი დაამარცხა, მაგრამ ქართველი კალათბურთელების ოქროს მედლები პოლიტიკურ ინტრიგას შეეწირა. სამაგიეროდ, გურამ მინაშვილმა იმავე წელს ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა მეორედ, მერე ამერიკის შეერთებულ შტატებში პროფესიულ გუნდებთან პაექრობებში გამოიჩინა თავი. „დენვერ თრაკერზთან“ მატჩში ქართველმა კალათბურთელმა ნამდვილი სასწაული მოახდინა და გაამარჯვებინა საბჭოთა ნაკრებს. წინა წელს იტალიაში მაირანოს თასის გათამაშებაზე იგი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს და სპეციალური ოქროს მედლით დააჯილდოვეს, ხოლო ორი წლის შემდეგ აპენინებზე ოლიმპიური თამაშების „ვერცხლით“ დაიმშვენა მკერდი: საბჭოთა ნაკრები ფინალში პროფესიული კალათბურთის მომავალი ვარსკვლავების — ოსკარ რობერტსონისა და ჯერი უესტის გუნდთან დამარცხდა.

ნაადრევად დაემშვიდობა დიდ სარბიელს. „ცხოვრებაში მე ჩემი პრინციპები მქონდა, ბევრს ვვარჯიშობდი, ხშირად — მარტოც, მკაცრ რეჟიმს ვიცავდი, ვერ ვიტანდი სიზარმაცეს. სამოციანი წლების ბოლოს შევატყვე, რომ უწინდებურად მთელი დატვირთვით ველარ ვვარჯიშობდი, ახალგაზრდები კი კაპიტნისგან იღებდნენ მაგალითს. მწვრთნელი ჩემს გამოსხვებსაც ვერ საყვედურობდა. ასე გაგრძელება აღარ შემეძლო, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე გუნდიდან წასვლა“, — ასეთი რამის აღიარება მხოლოდ დიდ პიროვნებას შეუძლია.

დაინტერესებულ მკითხველს სახელოვან კალათბურთელზე მეტის შეტყობაც შეუძლია, თუ გაეცნობა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტ გიორგი გორგოძის რედაქტორობით წლეულს გამოცემულ გურამ მინაშვილის ავტობიოგრაფიულ წიგნს (ვაჟა სიმონიშვილის ლიტერატურული ჩანაწერი), რომელშიც ქართული კალათბურთის კორიფე საინტერესოდ გვიყვება სპორტული კარიერის განუმეორებელ ეპიზოდებს. სამწუხაროდ, ბატონი გურამი მის სამზეოზე გამოსვლას ვერ მოესწრო. აი, რას გვამცნობს გიორგი გორგოძე:

„როგორი სიხარულითა და სიამოვნებით ვმუშაობდით მის წიგნზე „ორმოცი წუთი და მთელი სიცოცხლე კალათბურთში“ (სამუშაო სახელწოდება). ასეთი თვალსაწიერის მთხრობელი მანამდე არ შეგვხვედრია. მრავალმხრივ საინტერესო პიროვნება გახლდათ. პროცესმა გაიტაცა და, როცა წიგნის ავტორმა ვაჟა სიმონიშვილმა წიგნის საფინალო ნაწილი მიუტანა, ორშაბათისთვის დაიბარა.

წიგნის სათაურის ბოლო ვარიანტად მისივე გულიდან წამოსული მშვენიერი ფრაზა შევიგულეთ — „ბურთს კალათისკენ ჩემი გულიც მიჰყვებოდა.“ ორშაბათისთვის გადაგვიდო პასუხი...

2 მარტს, ორშაბათს, ბატონი გურამის სახლის კარი უკვე სხვამ გაიღო... წინა საღამოს გურამ მინაშვილს გულმა უმტყუნა...

ბურთს ხომ კალათისკენ მისი გულიც მიჰყვებოდა“.

ვაჟა დანელია

◎ ინტერნეტიდან

„დელპომ“ ცოლის თხოვნა არ შეისმინა

მიუხედავად იმისა, რომ ლეგენდარული იტალიელი ფეხბურთელის ალესანდრო დელ პიეროს ცოლი სონია ამორუზო ოჯახთან ერთად ბარსელონაში საბოლოოდ დასახლებაზე ოცნებობდა და დღენიადაგ პირზე კატალონია ეკერა, „დელპომ“ მაინც თავისი გაიტანა და იტალიის დედაქალაქ რომში დიდი ვილის მშენებლობა წამოიწყო.

სასახლის ასაშენებლად საჭირო მიწა დელ პიერომ მარადიული ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ძველ და პრესტიჟულ უბანში შეიძინა და როგორც ტურინის „იუვენტუსის“ ლეგენდას აქვს გადაწყვეტილი, მისი სამსართულიანი ვილა ნამეტნავად გამორჩეული, თანამედროვე და კომფორტული იქნება.

უკანასკნელ წლებში სხვადასხვა ქვეყნებში ხეტიალის დროს გამოითქვა ეჭვები, რომ დელ პიერო იტალიის გარეთ აპირებდა დასახლებას. თუმცა, ალესანდრო ვერაფრით შეეგუა სამშობლოს გარეთ ცხოვრებას და საბოლოო ნავთსაყუდელს თავისი ქვეყნის დედაქალაქში ჰპოვებს. სონია ამორუზოს კი ისღა დარჩენია, საყვარელ კატალონიას ოდენ ტურისტის სტატუსით ეწვიოს ხოლმე.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ მხატვრის ალბომი

დიდი მხატვრის მუზა და ფვილობილი

მანანა ბობოხიძის ფერთა სიმფონია

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ უცხო ენათა ინსტიტუტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის განყოფილების სტუდენტმა მანანა ბობოხიძემ ინსტიტუტში მოწყობილ თვითნასწავლ მხატვართა გამოფენაზე თავისი ნამუშევრები წარადგინა. „დედის პორტრეტმა“ და „ავტოპორტრეტმა შველით“ გააოცა სტუმრად მყოფი დიდი ლადო გუდიაშვილი. თვითნასწავლი მხატვარი ხელოვნების ქურუმის რჩევით სამხატვრო აკადემიის მესამე კურსზე დასვეს, როგორც ფრიადოსანი სტუდენტი. ლირიზმი, ჰაეროვნება, პოეტური სული, პროფესიონალიზმი – ეს ეპითეტები დასდევდა მის შემოქმედებას. მთელი სიცოცხლის მანძილზე. პოეტური სული მხატვრისა არც გაუკვირდება ხელოვნებისმოყვარულთ თუ დამფასებელთ, რადგან მანანა ბობოხიძე შესანიშნავი პოეტების კალე ბობოხიძისა და ვერა შუბლაძის ოჯახში გაიზარდა, სადაც ხელოვნების ქურუმთა თავშესაყარი იყო.

დიდ მხატვარს, ბატონ ლადოს მთელი ცხოვრება ყურადღება და სიყვარული არ მოუკლია თავისი შვილობილისა და მუზის მიმართ. ამას მოწმობს ქართულ, საკავშირო თუ უცხოურ ალმანახებში მის მიერ გამოქვეყნებული რეცენზიები მხატვრის შემოქმედებაზე. მათი ურთიერთობა უფრო ღრმად წავიდა – როდესაც ქალბატონმა მანანამ თავისი ცხოვრების გზა ბატონ ალეკო ფურცხვანიძეს დაუკავშირა, ლადო გუდიაშვილი მისი ქორწილის მეჯვარე ბრძანდებოდა და პატარძალს იმ დროისთვის (მხედველობაში მაქვს გასული საუკუნის 60-იანი წლები) მართლაც წარმოუდგენელი საჩუქარი გაუკეთა – საქორწინო კაბა პარიზიდან გამოუწერა. ლადოს მხატვრის ორი პორტრეტი აქვს შექმნილი, ერთი მათგანი – „ჩემი მუზა“, რომელიც 1976 წელს დახატა, დიდი მხატვრის სახლ-მუზეუმში ინახება.

„მანანა ბობოხიძის შემოქმედება გამოირჩევა ინდივიდუალობით, ნატიფი მხატვრული გემოვნებით, ცეცხლოვანი ტემპერამენტით, ხელწერის ეროვნული თვისებებით. იგი იშვიათი ტალანტის მქონე მხატვარია“ – ასე აფასებდა ლადო გუდიაშვილი მანანა ბობოხიძის შემოქმედებას.

70-80 წლებში მანანა ბობოხიძე ლიტერატურულ და სამხატვრო წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. საქართველოს დამსახურებული მხატვრის, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატის მანანა ბობოხიძის ნამუშევრები დაცულია საქართველოს, რუსეთის, ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში. შემოქმედის აღიარების



დასტურია მაშინდელი საბჭოეთის დიდ ქალაქებში მოწყობილი მისი ცამეტი პერსონალური გამოფენა.

73 წლის ასაკში შეწყდა პოეტური სულის მხატვრის გულისცემა. იგი მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში დაკრძალეს მშობლების გვერდით.

ახლახან ცნობილი მხატვრის თანამეცხედრემ, ბატონმა ალეკო ფურცხვანიძემ თბილისის საკრებულოს თანადგომით ქართულ ხელოვნებისმოყვარულებს უშესანიშნავესი საჩუქარი გაუკეთა, რითაც კიდევ ერთხელ უკვდავყო ქართველი მხატვრის ხსოვნა და ჩვენ საშუალება მოგვცა დავმტკბარიყავით ჭეშმარიტი ხელოვნებით. გამოიცა მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი ალბომი „მანანა ბობოხიძე“, რომელშიც მხატვრის ორასზე მეტი ტილოს ფოტორეპროდუქციებთან ერთად შესულია უნიკალური ფოტოები მხატვრის საოჯახო ალბომიდან, რომლებიც შემოქმედის ცხოვრების გზას, მის ურთიერთობას გამოჩენილ პიროვნებებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, ხელოვნების ქურუმებთან ერთად შესანიშნავ ისტორიულ მატიანეს ქმნიან.

მამუკა ვაშაკიძე



„ავტოპორტრეტი შველთან“
1963 წ.

„გალაკტიონის მერი“
1966 წ.

„ხათუნა“
2010 წ.

◎ ინფორმაცია

ყურად იღეთ ყრუთა ჩივილი

ყრუთა კავშირის წევრები კავშირის პრეზიდენტის ამირან ბატატუნაშვილისათვის უფლებამოსილების შეჩერებას ითხოვენ. ყრუთა კავშირის წევრების თქმით, ამირან ბატატუნაშვილმა და მისმა მეუღლემ მაია მეტონიძემ, რომელიც ყრუთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტია, კავშირის ქონება გაასხვისეს და გაფლანგეს.

როგორც ყრუთა კავშირის წევრები აცხადებენ, ქონების გაფლანგვის საქმესთან დაკავშირებით პროკურატურაში საქმის წარმოება 2007 წელს დაიწყო, თუმცა, წინა ხელისუფლების დროს კავშირის პრეზიდენტს შიდა ქართლის გუბერნატორი მფარველობდა და საქმეზე ძიება შეჩერდა.

ყრუთა კავშირის პრეზიდენტის წინააღმდეგ და საქმეზე გამოძიების განახლების მოთხოვნით კავშირის წევრებმა მთავარ პროკურატურასთან აქცია გამართეს. პარალელურად მათ პროკურატურაში განცხადებაც შეიტანეს, სადაც ამირან ბატატუნაშვილსა და მაია მეტონიძის წინააღმდეგ საქმის განახლებას და ძიების დაწყებას მოითხოვენ. ძიების დასრულებამდე კი ყრუთა კავშირის წევრები კავშირის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილების შეჩერებას ითხოვენ.

◎ ასეც ხდება!

შარშან შემოდგომაზე გულის არეში ყრუ ტკივილი ვიგრძენი. თავიდან ყურადღება არ მივაქციე – ხან რას მივაწერე, ხან – რას. ძალიან რომ შემაწუხა, ექიმს მივმართე. სიმპათიურმა ქალბატონმა ჯერ მაჯა გამისინჯა, მერე – წნევა. კარდიოგრამა გადავიღოთო, შემომთავაზა. სხვა რა გზა იყო, გვერდით კაბინეტში შევედი. აპარატზე შემაერთეს. კარდიოლოგმა რამდენიმე შეკითხვა დამისვა. პასუხების მიღების შემდეგ თავი უკმაყოფილოდ გაიქნია. სანამ ჩავიცვამდი, ჩემს ექიმთან შევიდა. ოთახში რომ შემობრუნდა, ხომ მშვიდობაა-მეთქი, ვკითხე. ყველაფერს გეტყვიანო, მიპასუხა მშრალად. საუბრის ტონი არ მომეწონა. რა ხდება-მეთქი, – ახლა ყელში ბურთგაჩხერილი და წყლიანი თვალებით ექიმს შევაჩერდი.

– დაბრძანდით , ბატონო... აბა, რა დაგიმალოთ, მაგრამ ნუ შეგეშინდებათ... კარდიოგრამამ მწვავე ინფარქტი დააფიქსირა.

მუხლები მომეკვეთა, სკამზე დავეშვი. ოფლმა დამასხა.

– რა უნდა ვქნა? – როგორც იქნა, ძლივს ამოვღერღე.

– თქვენ არაფერი, ახლავე სასწრაფოს გამოვიძახებთ და საავადმყოფოში გადაგიყვანთ. ტელეფონზე ნომრები აკრიფა. სასწრაფო დახმარების მანქანა მართლაც მალე მოვიდა. ახალგაზრდა ქალმა კარდიოგრამის ფურცელს დახედა თუ არა, მაშინვე ვენაში უშველებელი ნემსი მატკა, მერე ეტლით ჩამიყვანეს პირველ სართულზე, მანქანაში წამომაწვინეს, წვეთოვანი დამიდგეს და ჟანგბადის ნიღაბი სახეზე ამაფარეს. მანქანაც მოსწყდა ადგილს. ტკივილი ხომ არ გაწუხებთო, მკითხეს. უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

საავადმყოფოში მიყვანისთანავე რეანიმაციაში მომათავსეს. დატრიალდნენ ექიმები – ფილტვები გამისინჯეს, გულის ეხო და კარდიოგრამა გადამიღეს. ინფარქტიანი, აბა, ხმას როგორ ამოვიღებდი. ვიწექი ჩუმად და ნახევრადმოჭუტული თვალებით ექიმებს ვაკვირდებოდი. ვერც ერთის სახეზე სანუგეშო ან საგანგაშო ვერაფერი ამოვიკითხე. გულის ტკივილიც სადღაც გაქრა. ალბათ, ინფარქტმა ასე იცის-მეთქი, გავიფიქრე.

– სისხლი უნდა შევამოწმოთ, – ბრძანა ჭაღარა ექიმმა, რომელიც, ეტყობოდა, უფროსი იყო.

ინფარქტი

როგორ კინაღამ დამმართეს ის, რაც არ მქონდა

ახალგაზრდა კაცმა ჩემს საწოლთან სკამი მოაჩოჩა და ვენაში ნემსი მიჩხვლიტა. მეტკინა, მაგრამ ხმა არ ამომიღია. მეორედაც რომ მატაკა ნემსი, ვეღარ მოვითმინე და ვიყვირე.

– აბა, რა ვქნა, სისხლი არ მოდის და... – სათქმელი არ დაამთავრა.

– არ წამოვა ასე იოლად. – შევეპასუხე.

– რატომ?

– როგორ თუ რატომ? ჩემი ანკეტა არ წაგიკითხავთ?

– ანკეტა რა შუაშია? – იკითხა სასთუმალთან მდგარმა ქალბატონმა, რომელიც კოლეგის წვალებას ნაღვლიანი თვალებით დასჩერებოდა.

– მეგრელი ვარ, ბატონო, ცისფერი სისხლი მაქვს და...

– ხუმრობის ხასიათზეც ხართ? - სიტყვა არ დამამთავრებინა ჭაღარათმიანმა. ალბათ, სახეზე ღიმილმა გადამირბინა.

– ჯერ, აბა, საიქიოს საგზური არ გამოგიწერიათ და სხვა რაღა დამრჩენია... – ისევ ვცადე გახუმრება...

როგორც იქნა, სისხლი ამიღეს და ექიმებიც გაუჩინარდნენ. მედდამ წვეთოვანი დამიყენა. ათიოდ წუთში ჯერ მკლავი ამეწვა, მერე ხელი დამიბუჟდა. მორიგე ექთანს ეს რომ ვუთხარი, თითები აამოძრავე და გაგივლისო, მიპასუხა... ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ისევ შევეხმიანე მედდას, რომელიც თანამშრომელს ეჭორავებოდა და ჩემთვის არც ეცალა. ხმა რომ ავიმაღლე, თავი იმართლა:

– კალიუმი გაქვთ, ბატონო, დაყენებული და დაგეწვებათ, აბა, რა იქნება.

მეტის ატანა რომ ვეღარ შევძელი, წვეთოვანი მოვახსნევინე. ტკივილიც მალე გამიყუჩდა.

ერთი საათის შემდეგ ექიმმა შემოიხედა. მგონი, მოსალოცად გაქვთ საქმე, ინფარქტი არ დასტურდება, მაგრამ უნდა გადავამოწმოთო, მითხრა. ინფარქტს თქვენ თუ არ დამმართებთ, თავად მსგავსს ვერაფერს ვამჩნევ-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ თავი შევიკავე, მაინც მათს ხელში ვიყავი და სიფრთხილე ვამჯობინე. სისხლის მეორედ აღების შემდეგ ჩამეძინა. დილით ექიმმა გამაღვიძა - ინფარქტი გამოირიცხა, ასე რომ, შეგიძლიათ მენეჯერთან მიხვიდეთ და შინ წაბრძანდეთო. მადლობა გადავუხადე, პიჯაკი მოვიხურე და მენეჯერს ვეახლე. მან რეანიმაციაში გატარებული ღამის საფასური დამიანგარიშა, 240 ლარი გადამახდევინა და გამომისტუმრა. ყველაფერი ეს მეგობარს რომ ვუამბე, იაფად გადარჩენილხარო, მითხრა.

ალბათ...

ეს ამბავი ხომ ლარის რეანიმაციაში მოხვედრამდე შემემთხვა.

ვაჟა დანელია

პრეზიდენტის თანადგომა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ეთერ კაკულიას გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს. „ღრმა მწუხარებას გამოვხატავ ყველასათვის საყვარელი ქართველი მომღერლის, ქალბატონ ეთერ კაკულიას გარდაცვალების გამო. ამ მძიმე წუთებში სამძიმარსა და თანადგომას ვუცხადებ ქალბატონ ეთერის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს,“ – აცხადებს პრეზიდენტი.

შვილი ალექსანდრე ვაჩიბერიძე, ძმა ალკაზარ (ალეკო) კაკულია, შვილიშვილი მარიამი, ძმისწულები თამთა, ირაკლი კაკულიები ოჯახებით, რძლები ნინო ბეჟიტაშვილი, ნინი მელაშვილი, ბიძაშვილები ლია, დოდო ჩაჩავები, ნანა ნაჭყებია, დეიდაშვილები ილია, ციალა ქვარცხავები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეთერ ირაკლის ასული კაკულია

პანაშვიდი 28, 29 VI, 17 სთ. დოლიძის ქ. №41. გამოსვენება 30 VI, 16 სთ. ქაშუეთის საკათედრო ტაძრიდან.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არტისტი, ცნობილი მომღერალი, უკეთილშობილესი პიროვნება, ჭეშმარიტად სახალხო ხელოვანი

ეთერ კაკულია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

◎ პოეზია

ახალი რვეულიდან

ციკლიდან - „გვედრით, გვიშველე, უფალო!“

იუზა ჩაკვეტაძე

გულნატკენია ოცნებით

ვინც ჭაობებში იცოცებს,
შვილს დაუტოვებს იარებს,
აზრი არა აქვს სიცოცხლეს,
თუ მრუდე გზებით ვიარეთ.

ცხოვრებას მოკლეს, წამიერს,
უფრო გვიმოკლებს დარდები,
ერი დაყვეს და არიეს,
ახარეს ეკალ-ბარდები.

ქვეყნის გამყიდვლებს,
მძარცველებს,
პატივს არ აკლებს მთავრობა,
შუღლი კვლავ მტრობას
ავრცელებს,
გავხდებით არარაობა.....

ძალას იკრებენ „ნაცები“,
ხელში უჭირავთ ცოცხები,
ქართველი ხალხი ნაცემი,
გულნატკენია ოცნებით.

ამერიკა და ევროპა,
დაგვცინის, ერთად ხარხარებს,
ჩვენ არ ვუნდივართ, ეტყობათ,
თავისად თვლიან ამ მხარეს.

ნუ ვემსგავსებით ამებას,
დათალხულია, ცა ხვნეშის,
არ მინდა ერი გაებას
გაღმელთა დადგმულ მახეში.

P.S.
თუ კვლავ ცალ-ცალკე ვიქნებით ქვეყანა უცხოს დარჩება, წაგვლეკავს წარღვნის ზვირთები, დაგვაწყევლინებს გაჩენას.

რა გველოდება ხვალისთვის!?

ჩაწვნენ ტევრებში ღრუბლები,
მზის დაბნელებას უცდიან,
ერისთვის ხდება ურგები,
ნამუსს ვინც კარგავს-ურცხვია.

ბნელა, მთვარეა ნაცემი,
აწმყო ზურგს აქცევს მომავალს,
დღეს ხარობს ქვეყნის გამცემი,
ჯანღი ქართვლის ცას მოლამავს.

გავებით შუღლის ბადეში,
გაგვირისხდება ელია,
მომხდურს სიავით დაგეშილს,
გული გაუთბო ძნელია.

იელვა, ისმის გრუხუნი,
მართვეებს იცავს არწივი,
ვეღარ წამოდგა ლუხუმი,
ღალატით ზურგში დაჭრილი.

ვერ მოიშორეს ვარდებმა,
მწარედ დაჩხვლიტეს ეკლებმა,
ტკივილი გულში ვარდება
და მარწუხივით ეკვრება.

ჯანღი ზეცას კვლავ დაბინდავს,
ვივიწყებთ ცოტნე დადიანს,
ქვითინის ხმები გაგრიდან,
საქართველოსთვის დარდია.

შუღლია მტრობის სათავე,
გულს საავკაცოდ გაგვიხდის,
დღეს გაღმელები გვმართავენ,
რა გველოდება ხვალისთვის!?

წლები კვლავ სწრაფად მიდიან,
მართალი ტირის, ცრუ გალობს,
ერის წუხილი დიდია,
გადავშენდებით უკვალოდ.
.....
გვედრით, გვიშველე, უფალო!.

◎ სულიერება

იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში ფრესკაზე გამოსახული ქაიხოსრო ქართველი

28 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია წმინდა მოწამე ქაიხოსრო ქართველს იხსენიებს.

ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი (1612 წ.). XVIII საუკუნის ცნობილი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეა. ის გამოსახული ყოფილა იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში ფრესკებზე.

მწერალი ტიმოთე გაბაშვილი თავის „მიმოსვლაში“ აღწერს იერუსალიმის სიწმინდეებს, ჯვრის ქართველთა მონასტრის აღაპებსა და ფრესკებს: „... და კვალად იერუსალიმით მივედით მონასტრად ქარველთასა ჯვარს და განვიცადეთ, კედელთა ზედა წმინდანი მამანი და მოწამენი საქართველოსანი ეხატნეს შარავანდითა და გვირგვინითა“.

სიის მესამე ადგილზე დასახელებულია მოწამე ქაიხოსრო ქართველი, რომლის გამოსახულება ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დროინდელია.

ქაიხოსრო ქართველი უწამებია „ყეენ შაჰაბაზს წმიდათა ხატთათვის“.

გიული ლიპარტია

დაჭრილი პაციმარი ისევ კლინიკაში რჩება

კლინიკა „ლანცეტში“ ამ დროისთვის რჩება სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გადმოყვანილი ერთი პატიმარი, 26 წლის მამაკაცი, რომელსაც ჭრილობა მარჯვენა წინა მხარზე აქვს მიყენებული.

როგორც კლინიკის რეანიმაციული განყოფილების გამგემ მუხრან ხვედელიძემ განაცხადა, კონკრეტულად ეს პაციენტი შემოყვანილი იყო გამთენიისას, დილის 5:00 საათისთვის. მან დიდი რაოდენობით სისხლი დაკარგა, რის გამოც განუვითარდა მწვავე ანემია და შოკი. სულ კი მხოლოდ ერთ დღეში სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან კლინიკა „ლანცეტში“ გადმოყვანილია 7 პატიმარი, აქედან ერთ-ერთი ქალია.

როგორც კლინიკის მთავარმა ექიმმა ნინო ნადირაძემ განაცხადა, ამ შვიდი პაციენტიდან ერთს აღენიშნებოდა ჭრილობა, ხოლო მეორე შემთხვევაში საქმე ჰქონდა სიმაღლიდან ვარდნასთან. ნინო ნადირაძის მტკიცებით, ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს თვითდაზიანებებთან. რაც შეეხება დანარჩენ 5 პაციენტს, ისინი სხვადასხვა დაავადებებს უჩივიან და საავადმყოფოში სწორედ ამ მიზეზით იყვნენ გადმოყვანილი. გადმოყვანილი შვიდი პაციენტიდან კლინიკაში ამ დროისთვის ერთი მამაკაცი რჩება, რომელსაც ჭრილობა აქვს მიყენებული. სულ კი კლინიკა „ლანცეტში“ მკურნალობას რამდენიმე პაციენტი განაგრძობს, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში იქნენ შემოყვანილი.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

იყიდება საირმეში...

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

რედაქცია „საქართველოს რესპუბლიკაში“
მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

თვალცრემლიანი ცოლი ქმარს საყვედურობს:

— არც გაინტერესებს ხომ რატომაც ვტირი? გინდა, გითხრა?

— არ არის საჭირო! მაგდენი ფული მაინც არა მაქვს!

* * *

— **მამი**, როგორ გავჩნდი? — ეკითხება ბიჭი მშობელს.

— კომბოსტოში გიპოვეთ.

— ჩემი დაიკო როგორ გაჩნდა?

— ისიც კომბოსტოში ვიპოვეთ.

მეორე დღეს ბიჭმა მშობლებს „საქმეზე“ წაასწრო:

— რაო, მებაღეებო, კვლავ თესვის პერიოდი გაქვთ?

* * *

თუ ტყეში ბიჭს შევუშვებთ, იგი 3 კილოგრამ კენკრას მოკრეფს, თუ გოგოს შევუშვებთ, იგი 5 კილოგრამს მოუყრის თავს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თუ ბიჭსა და გოგოს ერთად შევუშვებთ ტყეში, ისინი 8 კილოგრამს მოაგროვებენ.

* * *

— **მიხო**, როგორა ხარ, როგორ მიგდის ბიზნესი?

— არც ისე კარგად, როგორც მე მინდა, და არც ისე ცუდად, შენ რომ გაგიხარდებოდა.

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24